სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 ივლისი 2008 №151 (3375) ფასი 50 თეთრი



გრანტმა კი შემოთვალა
კუპერი და ძველი ხუთეული

1. ექტორ რაულ კუპერი (არგენტინა)
2. რობერტო დონადონი (იტალია)
3. ზიკო (ბრაზილია)
4. ფოლკერ ფინკე (გერმანია)
5. ჰეტარ სეგრტი (ხორვატია)
6. ავრაამ გრანტი (ისრაელი)

ეს ექვსი კანდიდატია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სანაკრებოდ რომ შეიგულა. შესაძლოა, ნოდარ ახალკაცს და მის თანამოაზრეებს სხვა კანდიდატებიც ჰყავთ სიაში, თუმცა პრესისთვის მეტი არ გაუმხელიათ. და ერთიც: ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავას თქმით, ავრაამ გრანტმა წინასწარი თანხმობა უკვე შემოთვალა...





კალა ფონდი საქართველოსთვის!

უიმბლდონია, გაწვიმდა...

უიმბლდონი წვიმის გარეშე არ არსებობს. ბევრი კი ითმინა ინგლისურმა ცამ, თითქმის დასასრულამდე უღრუბლოდ მიიყვანა წლევანდელი ტურნირი, მაგრამ გუშინ მაინც მოხსნა პირი და კორტებზე დამცავი საფარი გამოჩნდა, ტრიბუნებზე — ქოლგები და ჩოგბურთელებმა კი გასახდელებს მიაშურეს.

ამ დროისთვის როჯერ ფედერერისა და მარიო ანჩიჩის შეხვედრაში ანგარიში 6:1 1:1 იყო ხუთგზის ჩემპიონის სასარგებლოდ, ხოლო ფელიჩიანო ლოპესი პირველ სეტში 5:2-ს უგებდა მარატ საფინს.

ორიოდ საათში, როდესაც გამოიდარა, ფედერერმა მალევე მოუმთავრა საქმე ჩილიჩს — 6:1 7:5 6:4. აი, საფინს კი წვიმამ აშკარად არგო — თამაშის განახლების შემდეგ რუსმა ესპანელი ოთხ სეტში, 3:6 7:5 7:6 6:3 დააჩოქა.



კუპერი და კიდევ ოთხეული

ავრაამ გრანტი ძალაშია

ექტორ რაულ კუპერი — ახალი სახელი ამოტივტივდა საქართველოს ეროვნული ნაკრების სავარაუდო თავკაცთა სიაში. 53 წლის არგენტინელ სპეციალისტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიწვევა გაუგზავნა და პასუხს ელის. კუპერმა სახელი ესპანეთში გაითქვა, როცა ჯერ „მალიორკა“ ათამაშა თასების თასის ფინალში და პლუს ესპანეთის სუპერთასი მოაგებინა, შემდეგ ორი სეზონი „ვალენსიაში“ დაჰყო და ორივეჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, თავისთავად დიდებული შედეგია, თუმც ჭაღარა არგენტინელი გადამწყვეტი მატჩების წაგებითაა ცნობილი. ასე იყო „ინტერშიც“, როცა სერია A-ს პირველი ტურიდან ლიდერობდა და ბოლოს წააგო „ლაციოსთან“, რითაც „იუვენტუსმა“ იხეირა.

„ინტერიდან“ კუპერი ჯერ „მალიორკაში“ წავიდა, შემდეგ „ბეტისში“ იმუშავა, ბოლოს კი „პარმაში“. სადღა იყო მისი ვალენსიური დიდება, სამივე ამ კლუბიდან მალევე გაათავისუფლეს.

მყარი დაცვა და ელვასავით კონტრშეტევები — ესაა კუპერის სამწვრთნელო სტილი, რომელსაც არასოდეს ღალატობდა. მის გუნდებს გამორჩეული ხელწერა ჰქონდათ.

ექტორ კუპერი ფეხბურთელობისასაც მცველი იყო და 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ მის პოზიციაზე დანიელ პასარელა თამაშობდა და „შემცირებაში“ მოჰყვა...

სფფ-ის გენერალურ მდივან *უჩა უგულავას* ნაკრებში გათავკაცების სხვა კანდიდატებზეც ვკითხეთ...

— ავრაამ გრანტმა ერთი კვირა ითხოვა, მოვიფიქრებ და პასუხს გეტყვითო. მან წინასწარი თანხმობა გვითხრა. ასე რომ, დიდი შანსია, მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შევიდეს.

— **რობერტო დონადონისაც შეეხმიანეთ?**

— დიახ. მეტიც, დონადონისგან დაინტერესებაც ვიგრძენით და ვნახოთ, დაველოდებით...

— **კიდევ ვინ არიან სიაში?**

— კუპერზე ვთქვი, კიდევ ფოლკერ ფინკე და ზიკო.

— **ფედერაციის ფავორიტი რომელია?**

— ამის გახმაურება ჯერ არ გამოვა. აღმასკომი გადაწყვეტს.

— **შეგიძლიათ თქვათ, როდის ეყოლება ნაკრებს მწვრთნელი?**

— არაუგვიანეს 1 აგვისტოს, კონტრაქტი გაფორმდება. დაახლოებით 20 ივლისს კი მწვრთნელი უკვე ცნობილი იქნება.

ილია ნანოგაშვილი

დაჩიელი ქართველობა

მოლდოვური „დაჩიას“ გვლილ სეზონზე ანალიზი იქაურმა პრესამ გააკეთა და ქართველი ფეხბურთელები დადებითად დაახასიათა.

გთავაზობთ ფრაზებს მოლდოველი ჟურნალისტის წერილიდან...

„სეზონის წინ „დაჩია“ შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელებით, ჯაბა დვალითა და ვიტალი დარასელიათი გაძლიერდა. ამ უკანასკნელის დიდებულმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი სტუმრად „ნისტრუსთან“... იმის მიუხედავად, რომ დარასელიამ ზამთრის პაუზისას გუნდი დატოვა, „დაჩიას“ პოტენციალი არ შესუსტებულა — გუნდი ლევან კორღალიძემ გააძლიერა... გოლების გატანა დაიწყო დვალმა, საერთოდ, ეს ფეხბურთელი მეორე წრეში საუკეთესო იყო და მისი რამდენიმე გოლი გადამწყვეტიც აღმოჩნდა. არ არის გამორიცხული, დვალს „ნისტრუსთან“ მატჩში ტრავმა რომ არ მიეღო და გარკვეული დრო არ გასცდენოდა, კიდევ უკეთესად ითამაშებდა“.

შეგახსენებთ, კორღალიძისა და დვალის გარდა „დაჩიაში“ მოხვედრის შანსი სოსო გრიშიკაშვილსა და სერგო ორბელაძესაც აქვთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბევრი სიახლე კალაძისგან

კახა კალაძემ საერთაშორისო საქველმოქმედო „კალა ფონდი“ დააფუძნა და გუშინ მისი პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ შედგა. საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველის გარდა, ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ლორენცო ჩიპარინიმ და ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა, ტელემოდერატორმა და ფონდის საბჭოს წევრმა ლუკა სერაფინიმ ისაუბრეს...

ლორენცო ჩიპარინი და კახა კალაძე

ჯანრი ჯიბლაძის ფოტო

„ჩვენი ფონდის მიზანი მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების თანადგომაა. ძირითადად, სამი მიმართულება გვაქვს: სპორტის განვითარება, განათლების ხელშეწყობა და სოციალური პროგრამები. სპორტის ხელშეწყობის მიზნით, „კალა ფონდი“ სპეციალური სკოლების დაარსებასა და განვითარებას გეგმავს, ბავშვებსა და ახალგაზრდებს განათლების მიღებაში დაეხმარება. ამასთან, სტიპენდიები დაწესდება უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის“ — გვითხრა კალაძემ.

ლუკა სერაფინი: „ეს ფონდი დაარსდა ბრწყინვალე ადამიანის მიერ, რომელსაც სურს, თავის ქვეყანას სარგებელი მოუტანოს. აქვე გეტყვით, რომ კახას ავტობიოგრაფიული წიგნი როცა დაიწერება და გაიყიდება, თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება“.

საქველმოქმედო საქმიანობაში „პროგრეს ბანკიც“ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც „კალა ფონდის“ ფინანსური პარტნიორი იქნება. ასევე, სტრატეგიული პარტნიორია „ფონდ მილანიც“, რომელიც „როსონერიმ“ 2007 წელს დააფუძნა და სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეხმარება.

„დაგეგმილია „მილანისა“ და თბილისის „დინამოს“ ამხანაგური მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართება. ამ ორ გუნდთან ერთად, შეაძლოა, „სამტრედიამ“ და კიევის „დინამომაც“ მიიღონ მონაწილეობა. ეს ის კლუბებია, სადაც კახას უთამაშია“ — თქვა სერაფინიმ და დაამატა, ამ მატჩებიდან შემოსული თანხიდან „კალა ფონდის“ საქველმოქმედო ღონისძიებები დაფინანსდებაო.

კიდევ სხვა საინტერესო პროექტები აქვს „კალა ფონდს“, რომელთა ვებგვერდია: kalafoundation.org.

გარდა ამისა, გუშინ საპრესკონფერენციო დარბაზში კალაძის პერსონალური ვებგვერდის პრეზენტაციაც გაიმართა: www.kaladze.it. ეს ვებგვერდი ოთხ ენაზეა — ქართული, რუსული, იტალიური და ინგლისური. მასში ნახავთ კახას ინტერვიუებს, ფოტოგალერეას, სხვადასხვა საფეხბურთო სიახლეს.

შემდეგ კი კახას მის ჯანმრთელობაზე, „მილანის“ გეგმებზე, საქართველოს ნაკრებსა და განვლილ ევროპის ჩემპიონატზე შეეკითხნენ.

— 16 ივნისს „მილანი“ იკრიბება და მეც შევუერთდები გუნდს. გამაყუჩებელი ნემსების გაკეთება აქამდეც დამჭირდა და ალბათ, კიდევ დამჭირდება, დეკემბრამდე კი ოპერაცია არ იქნება საჭირო. იყო შანსი, ამ ზაფხულსვე გამეკეთებინა ოპერაცია, თუმც ექიმების რჩევით, გადავდე...

...„მილანს“ კარგი სეზონი ვერ ჰქონდა, მაგრამ დიდი გუნდია და დიდებას მალე დაიბრუნებს. ჩავარდნისგან არც ერთი კლუბი არ არის დაზღვეული. „მილანმა“ შეიძინა ჯანლუკა ძამბროტა და მეტიუ ფლამინი, ახლა აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს „არსენალთან“ ემანუელ ადებაიორის გადმოსაყვანად...

...რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს, ფედერაციას ბევრი ვარიანტი აქვს, მათი გადასაწყვეტია ეს საკითხი და იმედი მაქვს, ძლიერ სპეციალისტზე შეჩერდება არჩევანი. მე ავრაამ გრანტის კანდიდატურა მომეწონა...

...ევროპის ჩემპიონატზე სიახლეები დავინახე: პირველ რიგში, მეტი სისწრაფე, მობილურობა. რა თქმა უნდა, მე იტალიას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ ძალიან კარგი თამაში აჩვენეს ესპანეთმა და რუსეთმა. ესპანეთმა, უბრალოდ, ფანტასტიკურად ითამაშა ფინალში. კონკრეტულ ფეხბურთელებს ვერ გამოვყოფ — ბევრმა ითამაშა მაღალ დონეზე და ვერც ერთზე ვერ იტყვი, სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგაო.

და კიდევ, კახას თავის რჩეულზეც ჰკითხეს — გეცოდინებათ, ქართველ მოდელ ანუკა არეშიძეზე დაინიშნა. თუმცა საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ ვარსკვლავმა ამ თემაზე მხოლოდ ის თქვა, ჯერ ქორწილი არ გვქონიაო.

ილია ნანოგაშვილი

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

საქართველოს ქულები მოემატა და... დაქვეითდა

საქართველოს ნაკრებს ივნისში არ უთამაშია, თუმცა ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში 10 ქულა მოემატა. ეგაა, ქულების მომატებამ ვერაფერი გვიშველა და ნაკრებიც წინსვლის ნაცვლად ერთბაშად 9 საფეხურით დაქვეითდა — ჩვენები ახლა 89-ე პოზიციაზე არიან.

ქვევარდნა უფრო სხვა გუნდების, კონკრეტულად კი, აფრიკული ნაკრებების წარმატებული თამაშის შედეგია.

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩვენი თანაჯგუფელებიდან იტალია, ბულგარეთი, ირლანდია და კვიპროსი თითო საფეხურით დაწინაურდნენ, ხოლო ჩერნიგორიამ ოთხი საფეხურით უკან დაიწია.

ევროპის ჩემპიონატმა პირველ ათეულში დიდი ცვალებადობა გამოიწვია — ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებმა სამხრეთამერიკელები „დაიბრიყვეს“ და ახლა ცხრილს ევროპის ახალი ჩემპიონი ესპანეთი თამადობს, რომელსაც იტალიელები და გერმანელები მიჰყვებიან კვალდაკვალ.

ათეულში ადგილი დაკარგეს ბერძნებმა და ინგლისელებმა, მათ ხორვატია და პორტუგალია ჩაენაცვლნენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

1	4	ესპანეთი	1557
2	3	*იტალია*	1404
3	5	გერმანია	1364
4	2	ბრაზილია	1344
5	10	ჰოლანდია	1299
6	1	არგენტინა	1298
7	15	ხორვატია	1282
8	6	ჩეხეთი	1146
9	11	პორტუგალია	1104
10	7	საფრანგეთი	1053
17	18	*ბულგარეთი*	930
41	41	*ირლანდია*	666
63	64	*კვიპროსი*	503
89	80	საქართველო	393
146	142	*ჩერნოგორია*	180

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

ამხანაგური მატჩები

რიდი 1:1 პლზენი

მატერსბურგი 2:3 დიორ ეტო

უგედეთი

ალსვენსკა. XII ტური

გეფლე 1:5 კალმარი

ჰალმშტადი 1:1 ჰამარბი

ნორჩიოპინგი 0:2 სუნდსვალი

იურგორდენი 0:2 ელფსბორგი

სუპერეტა. XIII ტური

ენჩიოპინგი 1:1 დეგერფორსი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XI ტური

ტპს ტურკუ 1:3 ჰიკ

ირლანდია

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

დერი 4:1 ბოჰემიანსი

დროჰედა 0:2 კორკი

გალვეი 3:0 ბრეი

დუბლინი 1:2 უეძსფორდი

ნორვეგია

ტიპელიგა. XII ტური

რუსენბორგი 3:1 ოლესუნდი

I დივიზიონი. გადადებული მატჩი

ნიბერგსუნდი 1:0 ჰიონეფოსი

თასი. III ეტაპი

ბოდო გლიმტი 3:1 ალტა

ბრინი 1:4 ლოვჰამი

ჰაუგესუნდი 3:2დ.დ. (2:2) სანდნესი

ლინი 4:0 ასკერი

მიოლდი 2:1დ.დ. (1:1) კრისტიანსუნდი

მოსი 2:3 სტარტი

ოდ გრენლანდი 2:0 სანდეფიორდი

სოგნდალი 3:0 კონგსვინგერი

სტაბეკი 5:0 ოსლო ოსტი

სტრომსგოდსეტი 5:2 პორსი

ვიკინგი 3:0 ეიდსვოლდი



ირაკლი ჩოთალიშვილი

ზაზა ზამთარაძე და გიორგი კიკნაძე

ვურაგ დოლიძეს/საქართველოს ფოტოები

ახალი ქართული სიტყვა: ეტცელასთან მარცხი სამარცხვინო სულაც არ არის!

განაცხადა ლოკომოტივმა და ტოტალიზატორი გამორიცხა

რამდენიმე დღის წინ თბილისის „ლოკომოტივი“ ლუქსემბურგულმა „ეტცელამ“ ინტერტოტოს თასიდან რომ გამოთიშა, ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად მოეხსენება. ამ სამარცხვინო შედეგს ჩვენს ქვეყანაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ისიც ითქვა, შეიძლება, საქმეში ტოტალიზატორი იყო გარეულიო. ამასთან დაკავშირებით გუშინ „ლოკომოტივმა“ პრესკონფერენცია მოაწყო... ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ კლუბის დირექტორი ირაკლი ჩოთალიშვილი, მწვრთნელები — გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე, გუნდის ორი ლიდერი — რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია, ასევე, კლუბის პრესსამსახურის უფროსი მინდია გაბაშვილი...

გიორგი კიკნაძე: „პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ „ლოკომოტივმა“ შეგნებულად დათმო შეხვედრა და ტოტალიზატორზე ითამაშა. ასეთი რამის დაუსაბუთებლად დაწერა არ შეიძლება. თუ გაქვთ რამე ამის დამადასტურებელი, გვაჩვენეთ, რათა დამნაშავე მკაცრად დაისჯოს. „ლოკომოტივი“ ბინძურ საქმეებში არასოდეს არ გარეულა და არც გაერევა. „ეტცელასთან“ სუფთა თამაში იყო. მოგეხსენებათ, ფეხბურთი ალოგიკური თამაშია და, სამწუხაროდ, ასეთი შედეგი დაფიქსირდა. რა თქმა უნდა, თავს არ ვიმართლებ და პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ცუდი შედეგი მივიღეთ და კრიტიკასაც ვიმსახურებთ. დროა, ქართველებმა რეალურად შევხედოთ, რა დღეშია ჩვენი ფეხბურთი. ამბიციები გვერდზე გადავდოთ და საქმე ვაკეთოთ. რამდენიმე წლის წინ, როცა „დინამოში“ ვთამაშობდი, ლუქსემბურგულ „გრევენმახერს“ შევხვდით. იქ რომ ჩავედი, ვნახე, როგორ ნელ-ნელა სწავლობდნენ ყველაფერს, ჩვენთან კი საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთი ცუდ დღეშია და ძალიან ბევრია გასაკეთებელი. კიდევ ერთხედ ვამბობ, რომ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. გუნდი „ეტცელასთან“ სათამაშოდ სათანადოდ ვერ მოვამზადე და ასეთი შედეგის მიზეზი ეს იყო“.

ზაზა ზამთარაძე: „ამ ტოტალიზატორმა ხალხი დააავადა და ათას სისულელეს ამბობენ. თამაში ვინც ნახა, დამეთანხმება, რომ რამდენიმე ბურთით უნდა მოგვეგო, თუმც, სამწუხაროდ, ფორტუნამ ზურგი გვაქცია. რა თქმა უნდა, „ეტცელასთან“ ასეთი შედეგი მიუღებელია და ძალიან განვიცდი, ასე რომ მოხდა“.

რატი ალექსიძე: „მატჩის შემდეგ არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, საშინელ დღეში ვიყავი, ფეხბურთის გაგონება აღარ მინდოდა. სამი დღე სახლიდან არ გამოვსულვარ და ამის შემდეგ მესმის, „ლოკომოტივმა“ ტოტალიზატორი ითამაშაო. ეს ყველა ჩვენთაგანის დიდი შეურაცხყოფაა. მე ფეხბურთში დავბრუნდი და არა ტოტალიზატორში. „ლოკომოტივმა“ სუფთად ითამაშა და ყოველთვის ასე იქნება“.

ვიტალი დარასელია: „ათი ნემსი გავიკეთე, „ეტცელასთან“ რომ მეთამაშა და კუნთის ტკივილი არ მეგრძნო. ნამატჩევს ამდენმა გამაყუჩებელმა ძალიან ცუდად იმოქმედა და სასწრაფო დახმარების გამოძახებაც დამჭირდა. სული და გული ჩავაქსოვეთ, ბევრი მომენტი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ. ის, რომ თითქოს „ლოკომოტივმა“ ტოტალიზატორში ითამაშა, სისულელეა!“

ირაკლი ჩოთალიშვილი: „ეს აბსურდული ბრალდებაა, „ლოკომოტივი“ სიბინძურეს არასოდეს გააკეთებს. თბილისში „ეტცელასთან“ დიდ უპირატესობას ვფლობდით და უბრალოდ, არ გაგვიმართლა. ისე, ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობას რეალურად თუ შევხედავთ, „ეტცელასთან“ მარცხი არ არის სამარცხვინო. ქართულ ფეხბურთში ბევრი რამეა გასაკეთებელი. ჩვენ ნელ-ნელა უნდა განვვითარდეთ. მალე საგურამოში ბაზა გვექნება, სავარაუდოდ, ერთ თვეში იქ ვივარჯიშებთ. „ეტცელა“ უნდა დავივიწყოთ და ჩემპიონატისთვის მოვემზადოთ. საქართველოს ჩემპიონატში სერიოზული მიზანი გვექნება“.

ნუკრი ლოლაძე

გაუგებრობა ნუ დასჯით უდანაშაულო დაუშვილს!

გადრი ჯიბილაძის ფოტო

ამასწინათ გვეწერა, „ოლიმპი“ — „სიონის“ ტესტ-მატჩში ბოლნისელთა გუნდში მურთაზ დაუშვილმა ითამაშაო.

ეს ინფორმაცია „სიონიდან“ მოგვაწოდეს, თუმცა გაუგებრობა მოხდა — ეს არა მურთაზი, არამედ შოთა დაუშვილი ყოფილა, მურთაზის ნათესავი, ვინც „სიონში“ გასინჯვაზეა.

შეცდომაა, თუმც გარწმუნებთ, ეს „სარბიელის“ ბრალი არ არის...

მურთაზ დაუშვილი „ზესტაფონის“ ფეხბურთელია, კლუბთან კონტრაქტი 1 აგვისტოს უმთავრდება და არ გვინდა, ფეროელთა ხელმძღვანელობისგან მას რაიმე პრობლემა შეექმნას, ანუ დაუჯარიმონ ან დისკვალიფიკაცია მისცენ — მით უმეტეს, მურთაზი არაფერ შუაშია.

ლუკა თალაკვაძე

დიორ ეტომ ზესტაფონს ბრაზილიელი გაუმზადა

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონის“ მეტოქემ უნგრულმა „დიორ ეტომ“ ახალი ტრანსფერი განახორციელა და თავისუფალი აგენტის სტატუსით გუნდში ბრაზილიელი ანდერსონ კოშტა აიყვანა.

კოშტა 24 წლისაა, 1,88 მეტრი სიმაღლის და 76 კილო წონის.

ანდერსონ კოშტას უთამაშია მშობლიურ „ვასკუ და გამაში“ და ზაგრების „დინამოში“, საიდანაც ჰორტუგალიურ „გიმარაეშში“ გაანათხოვრეს, თუმცა იქ მოედანზე არც ერთ მატჩში არ გამოჩენილა, იგივე მოხდა ბერძნულ „არისშიც“.

ამის შემდეგ გახდა ანდერსონ კოშტა თავისუფალი აგენტი და, როგორც ხედავთ, მასზე არჩევანი ახლა უნგრულმა „დიორმა“ გააკეთა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ინტერტოტო 13

ინტერტოტოს თასმა მე-13 წლისთავზე დალია ჩაილურის წყალი და ისტორიას მიებარა — ამიერიდან ეს არაპრესტიჟული ტურნირი აღარ ჩატარდება. ასეთია უეფას გადაწყვეტილება და ეს ჩვენთვისაც კარგი უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, საშუალო დონის ევროპულ კლუბებთან გასაცოდავებულ ქართულ კლუბებს აღარ ვნახავთ.

ამ 13 გათამაშებაში მხოლოდ სამჯერ მოხდა, როცა ქართველებმა პირველი ეტაპი გაიარეს, დანარჩენ 10 შემთხვევაში კი...

მოკლედ, ერთხელაც გადავავლოთ თვალი გასულ წლებს...

კახა შალამბერიძე

1996

ჯგუფური ეტაპი

კოლხეთი 2:3 ზემუნი (იუგოსლავია)
იარო (ფინეთი) 2:0 კოლხეთი
კოლხეთი 1:3 გენგამი (საფრანგეთი)
დინამო (რუმინეთი) 2:0 კოლხეთი

1997

ჯგუფური ეტაპი

მერანი 91 0:2 ტორპედო (რუსეთი)
ირაკლისი (საბერძნეთი) 2:0 მერანი 91
მერანი 91 5:0 ფლორიანა (მალტა)
რიდი (ავსტრია) 1:3 მერანი 91

1998

პირველი ეტაპი

ტორპედო 6:0 ერებუნი (სომხეთი)
ერებუნი (სომხეთი) 1:1 ტორპედო

მეორე ეტაპი

ლომელი (ბელგია) 0:1 ტორპედო
ტორპედო 1:2 ლომელი (ბელგია)

1999

პირველი ეტაპი

ცემენტარნიცა (მაკედონია) 4:2 კოლხეთი
კოლხეთი 0:4 ცემენტარნიცა (მაკედონია)

2000

პირველი ეტაპი

სტანდარდი (ბელგია) 1:1 დინამო
დინამო 2:2 სტანდარდი (ბელგია)

2001

პირველი ეტაპი

რიდი (ავსტრია) 2:1 ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია 1:0 რიდი (ავსტრია)

მეორე ეტაპი

ვიტ ჯორჯია 1:1 ტრუა (საფრანგეთი)
ტრუა (საფრანგეთი) 6:0 ვიტ ჯორჯია

2002

პირველი ეტაპი

ლოკერენი (ბელგია) 3:1 ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია 3:2 ლოკერენი (ბელგია)

2003

პირველი ეტაპი

პაშინგი (ავსტრია) 1:0 ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია 2:1 პაშინგი (ავსტრია)

2004

პირველი ეტაპი

მარეკი (ბულგარეთი) 0:0 დილა
დილა 0:2 მარეკი (ბულგარეთი)

2005

პირველი ეტაპი

ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 2:1 ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია 0:1 ლომბარდ პაპა (უნგრეთი)

2006

პირველი ეტაპი

კილიკია (სომხეთი) 1:5 დინამო
დინამო 3:0 კილიკია (სომხეთი)

მეორე ეტაპი

რიდი (ავსტრია) 3:1 დინამო
დინამო 0:1 რიდი (ავსტრია)

2007

პირველი ეტაპი

ტობოლი (ყაზახეთი) 3:0 ზესტაფონი
ზესტაფონი 0:2 ტობოლი (ყაზახეთი)

2008

პირველი ეტაპი

ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:0 ლოკომოტივი
ლოკომოტივი 1:1 ეტცელა (ლუქსემბურგი)

ყენიას ოცდაათი და კობიაშვილის მეათე

გელზენკირხენის „შალკემ“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდთან ერთად არიან ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია.

ეს კობიაშვილისთვის მეათე გერმანული სეზონია, ყენიამ კი პირველად ივარჯიშა „შალკეს“ დიდ გუნდთან ერთად.

გეხსომებათ, ყენია შარშან ჩავიდა გელზენკირხენულ კლუბში და 19-წლამდელებში თამაშობდა. ზაფხულის დასაწყისში ჩვენებურს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და ახალი სეზონისთვის დიდ გუნდშიც გადაიყვანეს.

მას უკვე ნომერიც აქვს — 30.

ბუნდესლიგის ჩემპიონატი 16 აგვისტოს იწყება, თუმც შესაძლოა, ყენიას თავის გამოჩენის შანსი მანამდეც მიეცეს — სეზონის წინ ყოველწლიურად იმართება ლიგის თასის გათამაშება, რომელშიც „შალკეც“ მიიღებს მონაწილეობას.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კახელიშვილი: ჯერ დუბლები, მერე ძირითადი

გიორგი კახელიშვილი „დინაბურგში“ ჩავიდა და დუბლებში ითამაშა — „ვინდავას“ დუბლებთან 0:0 დასრულებულ შეხვედრაში რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილმა შემტევმა პირველი ტაიმი დაყო მინდორზე.

ჩვენი ინფორმაციით, გიორგიმ კონტრაქტი უკვე გაფორმა თამაზ პერტიას გაწვრთნილ „დინაბურგთან“ და, სავარაუდოდ, მომდევნო მატჩს ძირითად გუნდში ჩაატარებს.

ილია ნანოგაშვილი

დევდარიანი ორჰუსში ათამაშდა

20 წლის ნახევარმცველი დავით დევდარიანი დანიურ „ორჰუსში“ სამი დღის წინ ჩავიდა და ქვეყნის ჩემპიონ „ოლბორგთან“ ტესტმატჩებშიც ითამაშა.

საქართველოს ჩემპიონატის გასული სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ ორივე შეხვედრაში თითო ტაიმი გაატარა მინდორზე. პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, მეორეში კი „ორჰუსი“ 0:2 დამარცხდა.

დევდარიანი ჯერ გასინჯვაზეა, თუმცა დიდი შანსია, კონტრაქტს მალე მოაწეროს ხელი. საქმეს ისიც ხელს უწყობს, რომ „ორჰუსი“ 8 ფეხბურთელმა დატოვა და მათგან ხუთი ნახევარმცველია.

„ორჰუსის“ სპორტულმა დირექტორმა, ახლო წარსულში დანიის ნაკრების ფეხბურთელმა ბრაიან სტენ-ნილსენმა ჩვენიანი კარგად დააახასიათა, პერსპექტიული ახალგაზრდაო.

ილია ნანოგაშვილი

ფოფხაძე ისევ ვიბორგშია

გიორგი ფოფხაძის დანიური „ვიბორგი“ ამხანაგურ მატჩში „მიდტიულანდს“ გაეჯიბრა და 1:3 დამარცხდა.

ქართველმა მცველმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა თავი დიდად არაფრით გამოუჩენია.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, დარჩება თუ არა ფოფხაძე „ვიბორგში“...

კახა შალამბერიძე

ანჟიმ თასზე გაისეირნა

ომარ თეთრაძე

მახაჩყალის „ანჟიმ“ და მისმა ქართველებმა რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

დაღესტნელებმა პიატიგორსკის „მაშუკს“ უმასპინძლეს და 3:0 დაამარცხეს. პირველი გოლი საკუთარ კარში სახვაძემ გაიტანა, ორი კი ანჟელმა ასილდაროვმა, აქედან ერთი აშვეთიას პასით.

ომარ თეთრაძემ სუსტ მეტოქესთან რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, რომლებიც ძირითადად შეცვლებზე შეჰყავს ხოლმე, მათ შორის, რევაზ ჯიქია და რევაზ ბარაბაძე, რომელიც აშვეთიამ 52-ე წუთზე შეცვალა. მათ გარდა ქართველთაგან ვალერი აბრამიძემაც ითამაშა.

ჰო, სახვაძის გარდა „მაშუკის“ შემადგენლობაში გოგბერაშვილმაც ითამაშა, თუმცა ორივენი რუსეთის მოქალაქეები არიან.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ზაზა დარასელის მეორე არხი და მეორე არხის ზაზა დარასელი

„ირაოს“ მინი-მოედანზე დასრულდა ზაზა დარასელის სახელობის ტრადიციული ტურნირი.

ტურნირში 13 გუნდი მონაწილეობდა: „აფხაზეთი“, „ბოცვაძელები“, „I სტერეო“, „მზე“, „ჯორჯია თუდეი“, „სარბიელი“, „ალანია“, „მე-2 არხი“, „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“ და „ვარკეთილი“.

საკმაოდ მაღალ დონეზე ორგანიზებული გათამაშების გამარჯვებული, რა თქმა უნდა, დარასელის მშობლიური „მე-2 არხი“ გახდა, რომელიც, ტრადიციულად, მთავარ ფავორიტად ითვლება ხოლმე. მეორეარხელებმა ფინალში 6:1 დაამარცხეს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

ორგანიზატორებმა გუნდები უამრავი სამახსოვრო პრიზით დაჯილდოვეს. გამარჯვებულს კი 2 500 ლარი ერგო.

ტურნირის შემდეგ, ასევე ტრადიციულად, გაიმართა ბანკეტი, სადაც მონაწილეებმა ერთხელაც მიაგეს პატივი ზაზა დარასელის ხსოვნას.

კახა შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეპსის თასი ამბროლაურს!

2008 წლის სკოლბურთის ტურნირის გამარჯვებული ამბროლაურის პირველი სკოლის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში რუსთავის 25-ე სკოლის ნაკრებს აჯობა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან და თბილისის მერიასთან ერთად, საშუალო სკოლებს შორის ტურნირს 2006 წლიდან ატარებს.

ტურნირი იყოფა ორ ეტაპად, პირველი ეტაპი მოიცავს შიდა რეგიონულ შეჯიბრებებს, ხოლო მეორე, დასკვნით ეტაპზე, 16 საუკეთესო სკოლა თამაშობს, რომელთაგან 5 სკოლა თბილისიდანაა, დანარჩენი 11 სკოლა კი რეგიონებიდან.

2008 წლის გათამაშებაში მონაწილეობა 1600-მდე სკოლამ მიიღო, რომელთაგანაც რეგიონებში გამარჯვებულის პრინციპით, 16 საუკეთესო სკოლა გამოვლინდა.

ეს სკოლები გახდნენ: 189-ე საშუალო სკოლა (თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამარჯვებული); კრწანისის საჯარო სკოლა (თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამარჯვებული); თ. ნათაძის სახელობის სკოლა (თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამარჯვებული); 22-ე საჯარო სკოლა (თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამარჯვებული); 182-ე საჯარო სკოლა (თბილისი, ისანი-სამგორის რაიონის გამარჯვებული); საგარეჯოს მე-4 სკოლა (კახეთის რეგიონის გამარჯვებული); რუსთავის 25-ე სკოლა (ქვემო ქართლის რეგიონის გამარჯვებული); ტირძნისის საჯარო სკოლა (შიდა ქართლის რეგიონის გამარჯვებული); ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლა (იმერეთის რეგიონის გამარჯვებული); ამბროლაურის 1 საჯარო სკოლა (რაჭის რეგიონის გამარჯვებული); ლანჩხუთის მე-2 საჯარო სკოლა (გურიის რეგიონის გამარჯვებული); ჯვარის I საჯარო სკოლა (სამეგრელოს რეგიონის გამარჯვებული); ხელვაჩაურის ახალსოფლის საჯარო სკოლა (აჭარის რეგიონის გამარჯვებული); მცხეთის მართლმადიდებელი გიმნაზია (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გამარჯვებული); წნისის საჯარო სკოლა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გამარჯვებული); გალის საშუალო სკოლა (აფხაზეთის რეგიონის გამარჯვებული).

2008 წლის 26-29 ივნისს „ჰეპსის“ თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი ბათუმში, „ადელის“ სტადიონზე გაიმართა, ფინალში კი რუსთავის 25-ე სკოლისა და ამბროლაურის პირველი სკოლის გუნდებმა გააღწიეს.

ნახევარფინალში რუსთაველებმა დაძაბულ ბრძოლაში ქუთაისის მე-40 სკოლა დაამარცხეს, ხოლო ამბროლაურის გუნდმა თბილისის 182-ე სკოლასთან თამაშის ძირითადი დრო ფრედ დაასრულა და პენალტების სერიაში 4:2 გაიმარჯვა.

ფინალი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მატჩის მე-15 წუთზე ამბროლაურმა ერთადერთი გოლი გაიტანა და „ჰეპსის“ თასსაც დაეუფლა.

წლევანდელი სკოლბურთი გამოირჩეოდა ორგანიზაციის მაღალი ხარისხით: მასში ჩართულნი იყვნენ როგორც უშუალო ორგანიზატორები (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია), ასევე სახელმწიფო სტრუქტურები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროები და თბილისის მერია.

უნდა აღინიშნოს დასკვნითი ეტაპის მასპინძელი აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიისა და აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის დახმარებაც.

„ჰეპსის“ თასის 2008 წლის გათამაშების გამარჯვებული ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლის გუნდს გადაეცა თასი და ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში „კოსტა ბრავას თასზე“ თამაშის უფლებაც მოიპოვა.

და ერთიც: ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ამბროლაურელთა ნახევარმცველი მალხაზ ფარჯიანი გახდა.

კახა შალამბერიძე

რეალს და ბარსას ეს არც დაესიზმრებათ

იურგენ კლინსმანმა ბაიერნის კედლები ტელეფონით დაანგრია

გერმანიის ჩემპიონატის დასრულებიდან 44 დღეში მიუნხენის „ბაიერნი“ ახალმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა შეკრიბა — ევროპის ჩემპიონატის ფინალს დაესწრო და 1 ივლისს გუნდი ოტმარ ჰიცფელდისგან ოფიციალურად ჩაიბარა. წინა სეზონში სამი საშინაო ტიტულის მომგები და უეფას თასის ნახევარფინალისტი გუნდი ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. პირველი ვარჯიშის წინ კლუბის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში „ბაიერნის“ თავკაცი სამომავლო გეგმებზე საუბრობს

— როგორია ევროპის ჩემპიონატისგან მიღებული შთაბეჭდილება?

— ვფიქრობ, რომ შესანიშნავი ტურნირის მოწმენი გავხდით, სტადიონებზე საუცხოო ატმოსფეროთი, საინტერესო და მეტწილად უმაღლესი კლასის მატჩებით. ეს ფანტასტიკური ჩემპიონატი ესპანეთმა დამსახურებულად მოიგო.

— ბუნდესნაკრებმა 2006-ში მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, ახლა კი ევროს ფინალში წაგო და ოქროს კვლავ ვერ შეწვდა...

— ცხადია, რომ თუ ფინალში გახვალ, ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლო. ფეხბურთელები მარცხის გამო ძალიან გულგატეხილნი არიან, რადგან ასეთი შანსი ყოველდღე არ ექნებათ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ამაზე ფიქრი დააღონებთ, მაგრამ ჩვენი მეტოქე იყო ესპანეთი, რომელიც იმ საღამოს გერმანიაზე ერთი თავით მაღლა იდგა და კიდეც ეკუთვნოდა გამარჯვება.

— ბაიერნელებს როგორ შეაფასებთ?

— მათ ამ ჩემპიონატზე კვალი დატოვეს. ბასტიან შვაინშტაიგერი დროდადრო ძალიან კარგად თამაშობდა, ფილიპ ლამი კი ტურნირზე საუკეთესო მარცხენა მცველი იყო.

მარსელ იანსენსაც ჰქონდა აღმადაღმა სვლა. 4-5-1-ზე გადასვლის შემდეგ მიროსლავ კლოზე მეწყვილის გარეშე დარჩა და მარტოს ძალიან გაუჭირდა.

ჰამით ალთინთოფი გამორჩეული გახლდათ თურქთა გუნდში და ლიდერობა იკისრა. მე მივულოცე და ვუთხარი, რომ უნდა 'იამაყოს თავისი ნაკრების მიღწევით.

— ფეხბურთელები ხომ არ შეიგულეთ „ბაიერნისთვის“?

— ასეთ სახელოვან კლუბს სკაუტები ყოველ მატჩზე ჰყავს. მუდმივად ვაკვირდებით ფეხბურთელებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალი სეზონისთვის ვინმეს აუცილებლად ვიყიდით.

ჩვენ გუნდის გრძელვადიანი პერსპექტივა უნდა გავთვალოთ და ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორი იქნება „ბაიერნი“ ორი-ოთხი წლის შემდეგ.

ასეთ ტურნირებზე ბევრი საინტერესო ფეხბურთელი ჩნდება და თუ რომელიმე მოგვეწონება, კლუბში სათანადო ხალხი ამ საქმეს მიხედავს.

— მომავალ სეზონზეც ვთქვათ. ძველი ბაზა ექვს კვირაში ახალ მოსამზადებელ ცენტრად გადააკეთებინეთ. რისი მიღწევის იმედი გაქვთ?

— ეს რამდენიმე კომპონენტის გაერთიანების უნიკალური შანსია. დავამსხვრიეთ ყველა კედელი, რომლის დამტვრევის უფლებაც მოგვცეს, რათა ფეხბურთელებისთვის დასვენების და განვითარების საუკეთესო პირობები შეგვექმნა.

ორი ძირეული კომპონენტი გვაქვს: ინტენსიური სავარჯიშო პროგრამები მოედანზე და ჩვენი სურვილი — დავეხმაროთ მოთამაშეებს ინდივიდუალურ განვითარებაში მოედნის მიღმა.

ეს ფანტასტიკური ცენტრია და სამწვრთნელო შატაბი აღფრთოვანებულია. მსგავსი რამ არც „რეალს“ და არც „ბარესლაონას“ გააჩნია.

— რას აკეთებდით მას შემდეგ, რაც ინვარში „ბაიერნის“ მომავალ თავკაცად დაგნიშნეს?

— თუ გამოწვევას იღებ, საქმეს პირველი დღიდანვე ხელი საფუძვლიანად უნდა მოჰკიდო. მწვრთნელად ჩემი გამოცხადების წუთიდან „ბაიერნისთვის“ ვიხარჯები.

მაგალითად, თუნდაც იგივე ცენტრის შენებამ დიდი დრო წაიღო. თითოეული წვრილმანი ჩემი მითითებით გაკეთდა. მუდმივად ვესაუბრებოდი კლუბის შეფებს ტელეფონით ან ელფოსტით, მაგრამ ჩრდილში ვრჩებოდი, რომ ოტმარ ჰიცფელდისთვის ხელი არ შემეშალა.

— „ბაიერნისგან“ ყველგან და ყოველთვის პირველობას ითხოვენ. მეორე ადგილი ცუდ შედეგად ითვლება. ამას როგორ მოერევით?

— ვამყობთ იმით, რომ ჩვენგან ასე ბევრს ელიან. „ბაიერნი“ მსოფლიოს ერთ-ერთი ელიტარული კლუბია და შესაბამისი მიზნებიც გააჩნია. სეზონი ჯილდოებით უნდა დავასრულოთ. ცხადია, უმთავრესად შინაურ ტიტულებს ვგულისხმობ, მაგრამ გვსურს, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც ევროპაზე შთაბეჭდილება მოვახდინოთ.

ბერის თანხა გაიბერა

„ლივერპულმა“ „ასტონ ვილას“ გარეთ ბერის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა შესთავაზა და დააყოლა, ეს არის და ეს, ამაზე მეტს მაგ ბიჭში ჩვენგან ნუღარ ელით, ვაჭრობას აზრი არ აქვსო.

ცნობისთვის: მერსისაიდელები სულ თავიდან 12 მილიონს იხდიდნენ, ბოლოს კი 15-ზე იყვნენ ასულები. როგორც ხედავთ, ახლა, 2 მილიონი დაუმატებიათ, ოღონდ უთქვამთ, ამ დამატებას ნელ-ნელა გადაგიხდითო.

და, როგორ რეაქციას უნდა ველოდოთ ბირმინგემელთაგან?

მათმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა ერთი პირობა ასე განაცხადა, ბერის გაყიდვაზე ყაბულს ვართ, ოღონდ მხოლოდ 18 მილიონადო.

მოგეხსენებათ, ასეთ დროს საკუთრივ ფეხბურთელის სურვილი გახლავთ ფრიად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი რამ. ამ შემთხვევაში, „ასტონ ვილას“ კაპიტანს ძალიან უნდა „ლივერპულში“ გადასვლა, ასე რომ, ონილისთვის ერთი მილიონის გამო განაწყენებული მოთამაშის დატოვებას იქნებ არც ჰქონდეს აზრი.

„ენფილდისადმი“ ბერის ლტოლვა საფეხბურთო მიზეზების გარდა იმითაც არის განპირობებული, რომ ლივერპულში თავისი დიდი მეგობარი სტივენ ჯერარდი ეგულება, რომელიც, თავის მხრივ, ცდას არ აკლებს, ძმაკაცი გვერდში რომ ამოიყენოს.

თან, ბერისა და ონილის ურთიერთობას საუკეთესო უკვე რომ აღარ ეთქმის, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ამის დასტურად იმის მოყვანა შეიძლება, რომ ევრო 2008-ის დღეებში ფეხბურთელმა მწვრთნელი გაკენწლა, ჩემპიონატზე ტელეექსპერტად მუშაობს და შეწუხება აგვიკრძალაო.

„ველარაფერს დააბრუნებ. უკვე დროა, „ასტონ ვილადან“ წავიდე“ — თქვა ბერიმ.

პაპუნა კედია



დევიდ სალივანი გახლავთ „ბირმინგემ სიტის“ აღმასრულებელი შეფი, 59 წლის კაცი, რომელსაც ორშაბათს მავანმა 25 წლის გოგომ გაუპატიურებაში დასდო ბრალი.

ჩივილის შედეგად ესექსის პოლიციამ მისტერ სალივანი დააპატიმრა, თუმცა საჯაროდ არ აუტეხავს,

გოგო, რა გინდოდა მილიონერის ვილაზე?

ბირმინგემელთა შეფი დავიჭირეთო. პოლიციელებმა თავიანთი პრესატაშის პირით საზოგადოებას დელიკატურად განუცხადეს: „ვადასტურებთ, რომ ჩვენთან, დაკითხვაზე, იმყოფება 59 წლის მამაკაცი. მას აღმოსავლეთ ლონდონში მცხოვრებმა 25 წლის ქალმა უჩივლა“.

რამდენადაც პრესისთვის გახდა ცნობილი, ქალი აცხადებს, რომ სალივანმა ის საკუთარ ვილაზე გააუპატიურა. გამოძიება ბირმინგემელთა ბოსის დნმ-ს ანალიზისა და ვილის ჩხრეკის შედეგებზე აპირებს დაყრდნობას.

შეგახსენებთ, რომ „ბირმინგემ სიტის“ გულშემატკივრები მულტიმილიონერ სალივანსა და მის მეწყვილე დევიდ გოულდს გმირებად მიიჩნევდნენ. ამ ორმა ადამიანმა მათი კლუბი 90-იანი წლების მიწურულს იყიდა და ფანებს იმედიც ჩაუსახა, მაგრამ გასულ სეზონში ბირმინგემელები პრემიერლიგიდან გავარდნენ და სალივან-გოულდის წყვილსაც სახელი ცოტა გაუფუჭდა.

პაპუნა კედია

კოვაჩმა ცოლს დაუჯერა

ხორვატია 36 წლის კაპიტანმა ნიკო კოვაჩმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაიფიქრა. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ განაცხადა, ეროვნული გუნდის მაისურას აღარ ჩავიცვამო, მაგრამ ნათქვამი შეცვალა. „ერთი კვირა ზღვაზე გავატარე, ვიფიქრე და თამაშის გაგრძელება გადავწყვიტე. გულშემატკივრები მოდიოდნენ და მთხოვდნენ, ნაკრები არ მიატოვოო. საბოლო სიტყვა მაინც ოჯახზე იყო. ცოლს ვესაუბრე და მანაც ასე მირჩია“ — თქვა კოვაჩმა.

ვის დარჩება ბენტლის საჭე?

„ტოტენჰემი“ და „ასტონ ვილა“ დავიდ ბენტლისთვის იბრძვიან, რომელიც „ბლექბერნიდან“ იბარგება.

ტოტენჰემელთა მწვრთნელი ხუანდე რამოსი ბენტლიზე გადაერთო, რადგან „სევილიადან“ ყოფილი შეგირდი დიეგო კაპელი ვერ გადაიბირა.

რამოსი „ბლექბერნს“ ფულს და აარონ ლენონს შესთავაზებს სასურველ ფეხბურთელში და იმედოვნებს, რომ უფრო მოხიბლავს, ვიდრე „ასტონ ვილა“. ვილელებს ჯერ ფული არა აქვთ, მაგრამ თუ გარეთ ბერის „ლივერპულს“ 18 მილიონად მიჰყიდიან, გირვანქები გაუჩნდებათ. „ბლექბერნის“ ახალ თავკაცს პოლ ინსს დევიდ ბენტლის შენარჩუნება სურს, მაგრამ ნახევარმცველი ახალ თავგადასავალს ეძებს.

გუისას შემსწავლელი კომისია

ევროპის ჩემპიონი და ტურნირზე წყვილი გოლის გამტანი დანიელ გუისა მომავალს ორ-სამ კვირაში გაარკვევს. მის მყიდველთა შორის ფავორიტი „ფენერბაჰჩეა“ და „მალიორკამ“ ფეხბურთელი 15 მილიონ ევროდ შეაფასა.

ფორვარდით დაინტერესებულნი არიან „ტოტენჰემი“, „სანდერლენდი“, „სიტი“, „რომა“ და „ბარსელონა“. გუისას აგენტმა ნურია ბერმუდესმა თქვა, რომ ამ კვირაში „მალიორკასთან“ მისული წინადადებების განხილვა დაიწყება. „კლუბის შეფებთან ერთად ყველა ვარიანტს შევისწავლი, მაგრამ ათ-თხუთმეტ დღეზე ადრე გადაწყვეტილებას ვერ გავამხელთ“.

კორალს ფასი არ აწერია

პორტუგალიური „გიმარაეში“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება და ბრაზილიელი ფორვარდი ჟან კორალი იყიდა.

ფეხბურთელმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, რომელმაც გარიგების ფასი მიჩქმალა. „ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ“ — თქვა „კრისიუმას“ ყოფილმა თავდამსხმელმა.

ეს უკვე მეოთხე შენაძენია „გიმარაეშისა“ გრეგორი არნოლენის, ვენიუს და ჟოზე ლიონუს შემდეგ.

ჰუსაინოვიჩის მუსიკა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ადგილდაბეებულმა „ვერდერმა“ ბოსნიური „სლობოდადან“ 19 წლის ნახევარმცველი საიდ ჰუსაინოვიჩი იყიდა.

გერმანული მედიის ცნობით, ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ ფეხბურთელში დაახლოებით მილიონი ევრო გადაიხადეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჰუსაინოვიჩმა 25 მატჩი ითამაშა „სლობოდაში“ გასულ სეზონში და ორჯერ ნაკრების მაისურაც მოირგო, რაც „ვერდერის“ საკაუტებს არ გამორჩენიათ. „მარჯვე და მოხერხებული შემტევი ნახევარმცველია“ — ასე დაახასიათა ახლწვეული ბრემენელთა მწვრთნელმა თომას შაოფმა.

წიხლი არშავინისგან

„ზენიტის“ პატრონი „გაზპრომის“ შეფობა ანდრეი არშავინის გაყიდვის წინააღმდეგია. ამის გამო, „სპორტ-ექსპრესს“ თუ ვერწმუნებით, „ბარსელონასთან“ და „ჩელსისთან“ მოლაპარაკება არ იწყება.

ფეხბურთელი, რომელმაც ჰოლანდიასთან მატჩში გამოანათა, გუშინ კლუბის პრეზიდენტ ალექსანდრ დიუკოვს უნდა შეხვედროდა. დღეს კი დაგეგმილია „ზენიტის“ დირექტორატის თავშეყრაც, სადაც სატრანსფერო ამბებზე ისაუბრებენ.

ხოლო „ტვოი დენ“-ის ცნობით, 27 წლის ფეხბურთელმა კლუბს საარაკო კონტრაქტზე (5 მილიონი ევრო) წიხლი უკრა და ხელშეკრულების გახანგრძლივება არ ისურვა.

2016 რადიოში თქვეს

შვედეთი და ნორვეგია ერთად აპირებენ ევრო 2016 მასპინძლობას. შვედთა ფეხბურთის კავშირის გენერალურმა მდივანმა სუნე ჰელსტრიომმა რადიოინტერვიუში თქვა, რომ შემოდგომაზე უეფაში ოფიციალურ განაცხადს შეიტანენ. მათთვის პრობლემა არ იქნება, თუ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობას 24-მდე გაზრდიან. ორ ქვეყანას ოთხ-ოთხი გამართული სტადიონი უნდა ჰქონდეს ამ ტურნირის სამასპინძლოდ.

შვედეთში ევროჩემპიონატი 1992 წელს გაიმართა, ნორვეგიისთვის კი ასეთი დიდი საფეხბურთო რიარია ჯერ უცხოა. ამ წყვილის მთავარ კონკურენტად საფრანგეთს მიიჩნევენ.

გაგა ხუციშვილი

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №41

ოქროს გოლი

ეგრეთ წოდებული „ოქროს გოლი“ პირველად 1996 წელს გახდა საჭირო. მისი ავტორი გერმანელი ფორვარდი ოლივერ ბირჰოფია. ამ გოლმა ბუნდესნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოუტანა.

გერმანელებმა ფინალში დამატებით დროში სძლიეს ჩეხებს, რომლებთან ერთადაც ჯგუფში იყვნენ (ასევე იტალიისა და რუსეთის ნაკრებებთან ერთად).

მეოთხედფინალში გერმანიამ ხორვატიას სძლია (2:1), ნახევარფინალში კი მასპინძელ ინგლისს პენალტების სერიაში აჯობა (ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა).

ფინალში ჩეხები პატრიკ ბერგერის მიერ გატანილი პენალტით იგებდნენ, მაგრამ ბერტი ფოგთსის მიერ შეცვლაზე შეშვებულმა ბირჰოფმა 73-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, 95-ე წუთზე კი ფეხბურთის ისტორიაში პირველი „ოქროს გოლი“ გაიტანა და გერმანიას ევროპის ჩემპიონატი მესამედ მოაგებინა.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონის ვინაობა მოგვიანებით კიდევ ერთმა „ოქროს გოლმა“ გადაწყვიტა. 2000 წელს დავიდ ტრეზეგეს დარტყმულმა საფრანგეთს იტალიასთან მატჩში გაამარჯვებინა.

საბედნიეროდ, ფეხბურთის მამები მიხვდნენ, რომ ეს მაინცდამაინც წარმატებული იდეა არ გახლდათ და „ოქროს გოლის“ წესი ჯერ „ვერცხლის გოლად“ გადააკეთეს, მერე კი ეს უკანასკნელიც გააუქმეს და ძველებურ მოდელს დაუბრუნდნენ.

ლეგენდა №42

იტალიელთა იობლიანი მონეტა

რიგით მესამე, 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალის, კერძოდ კი მასპინძელი იტალიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებების შეხვედრის ბედი ერთმა ჩვეულებრივმა მონეტამ გადაწყვიტა...

იტალიელი და საბჭოელი ფეხბურთელების მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ დასრულდა. შესაბამისად, მაშინდელი წესების თანახმად, ნეაპოლის „სტადიო სან პაოლოზე“ 68 ათასზე მეტი ქომაგის თვალწინ შეხვედრის გერმანელმა მსაჯმა კურტ ჩენშერმა ერთი ჩვეულებრივი მონეტა ააგდო და „სკუადრა აძურას“ უფრო გაუმართლა.

ცხადია, ეს უნიკალური შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში. ფინალში გასული იტალიელები მე-80 წუთამდე 0:1-ს აგებდნენ იუგოსლავიასთან, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. გადათამაშებაში კი 2:0 იმარჯვეს და პირველად (ჯერჯერობით უკანასკნელადაც) გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

საბჭოთა კავშირის მაშინდელმა კაპიტანმა ალბერტ შესტერნიოვმა კი, რომელსაც მეტსახელად „ივანე მრისხანეს“ ეძახდნენ, განაცხადა, გამაჯვებულის მონეტით გამოვლენა უსამართლობა და არასწორიაო.

ლეგენდა №43

დანიური სასწაული

1992 წლის ერთ მშვენიერ დღეს დანიის ნაკრების ფეხბურთელების უმრავლესობა შვებულებით ტკბებოდა, ხოლო მწვრთნელი რიხარდ მიოლერ ნილსენი საკუთარი სამზარეულოს გადაწყობასა და სახლის სახურავის შეღებვაზე ფიქრობდა, როცა დაურეკეს და უთხრეს, დანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშოსო...

საქმე ის არის, რომ შესარჩევ ქვეჯგუფში დანია იუგოსლავიას ჩამორჩა, მაგრამ იუგოსლავიაში სამოქალაქო ომი დაიწყო და უეფამაც ფაქტობრივად ბოლო მომენტში გადაწყვიტა შვედეთში გამართულ ევრო 1992-ზე დანიის დაშვება.

დანიელებმა მთელი მსოფლიო გააოცეს და დაუვიწყარი ისტორია შექმნეს. მასპინძელ შვედეთთან, ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად ჯგუფში მოხვედრილმა დანიამ მოულოდნელად შეძლო ნახევარფინალში გასვლა.

ნახევარფინალში დანია ორჯერ უგებდა ჰოლანდიას, „ნარინჯისფერებმა“ ანგარიში ორივეჯერ გაათანაბრეს, მაგრამ საბოლოოდ, პენალტების სერიაში მაინც სკანდინავიელებმა იმარჯვეს. ჰოლანდიელთა მხრიდან თერთმეტმეტრიანი მარკო ვან ბასტენმა ვერ გაიტანა.

ფინალში კი ნილსენის შეგირდებმა გერმანიას 2:0 მოუგეს და ასე გახდა ევრო 1992-ზე შემთხვევით მოხვედრილი დანია ჩემპიონი.

ცხადია, ამ საოცარ წარმატებას დანიაში დიდი ზეიმი მოჰყვა. სამშობლოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს კი კოპენჰაგენში მილიონზე მეტი აღტაცებული ქომაგი შეეგება.

ლეგენდა №44

ევროპის ჩემპიონატის დაარსება

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, „ბებერი კონტინენტის“ ანუ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ყველაზე გვიან დაიწყო კონტინენტურ პირველობებს შორის.

ამ იდეის ავტორები ფრანგები იყვნენ, კერძოდ კი, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის იმდროინდელი მდივანი ანრი დელონე.

თავდაპირველად ტურნირს ევროპის თასი დაერქვა და პირველი გათამაშება 1959-1960 წლებში ჩატარდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრებები ერთმანეთს შინ და სტუმრად ხვდებოდნენ, საბოლოოდ კი ოთხი საუკეთესო გუნდი ფინალურ ეტაპზე გადიოდა და ამ ფინალური ეტაპის მასპინძლის ვინაობაც მას მერე წყდებოდა, რაც ნახევარფინალისტები გამოვლინდებოდნენ.

პირველი ტურნირი საფრანგეთში ჩატარდა და საბჭოთა კავშირის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ფინალში იუგოსლავიელებმა ბევრი მომენტი შექმნეს და ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ ლეგენდარულმა ლევ იაშინმა მათ მეტი გოლი არ გაატანინა, საბჭოთა კავშირმა კი წონასწორობა აღადგინა და დამატებით დროში გამარჯვების გოლიც შეაგდო.

1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით ევროპის ჩემპიონები ქართველებიც გახდნენ — მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი. მათ ლომის წვლილი შეიტანეს ამ დიდ წარმატებაში. ფინალში კი მეტრეველმა სულაც ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი გაიტანა.

ლიპილოსოფია დაბრუნდა

რობერტო დონადონი

ჯანკარლო აბეტე და მარჩელო ლიპი

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებულმა მარჩელო ლიპიმ ვრცელი პრესკონფერენცია მოაწყო და ბევრი საინტერესო განცხადება გააკეთა.

„რასაკვირველია, ბედნიერი ვარ, რომ იქ დავბრუნდი, საიდანაც წავედი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ჩვენმა ნაკრებმა მთლად ისე ვერ ითამაშა, როგორც ვფიქრობდით და როგორც გვინდოდა. როცა სხვადასხვა ფედერაციები მთხოვდნენ მათი ქვეყნის ნაკრების გაწვრთნას, ვეუბნებოდი, რომ არცერთი ტაქტიკოსი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო ეროვნულ ნაკრებთან ერთად, ერთი წლის მერე, იგივეს გაკეთებას სხვა ქვეყნის ნაკრებში არ ეცდება. ბევრი უადრესად საინტერესო შემოთავაზება მივიღე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალიან მინდოდა „სკუადრა აძურას“ სათავეში დაბრუნება, თუ შანსი მომეცემოდა და დაცდა გადავწყვიტე. ცხადია, იმ კლუბებისა თუ ნაკრებების სიას არ გამოვაქვეყნებ, რომლებისგანაც შემოთავაზება მივიღე, უბრალოდ, ყველას უარს ვეუბნებოდი და მოვლენების განვითარებას ვუცდიდი“ — თქვა ლიპიმ.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსის“ ექსთავკაცი 2006 წლის მერე უმუშევარია, ანუ მას მერე, რაც „სკუადრა აძურას“ მუნდიალი მოაგებინა. მის ნაცვლად მოსულმა რობერტო დონადონიმ კი ვერ გაამართლა. დონადონის ნაკრები არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და საბოლოოდ, ევრო 2008-ის მეოთხედფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან.

იტალიური პრესა დარწმუნებული იყო, რომ ლიპი პოსტზე დაბრუნდებოდა. ისეთი ინფორმაციაც კი გავრცელდა, ჭაღარა ტაქტიკოსს წინასწარ ჰქონდა შეთანხმება იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთანო.

„ახლაც ჩემს აზრზე ვარ — ამბობს ლიპი — იტალიაზე ძლიერ ნაკრებს ევროპაში ვერ ვხედავ. ფედერაციის ხელმძღვანელობას ევრო 2008-ს დაწყებამდე განვუცხადე, მე და ყველა იტალიას მთელი გულით უქომაგებს და იმედია, დონადონისთან ერთად რაც შეიძლება შორს წავალთ-მეთქი. თუმცა, მათ ისიც ვუთხარი, წარუმატებლობის შემთხვევაში მზად ვარ, დავბრუნდე-მეთქი. რამდენად სწორად მოვიქეცი, თავად განსაჯეთ. ისიც დაიწერა, თითქოს ტურნირის დაწყებამდე უკვე გადაწყვეტილი იყო ყველაფერი და „სკუადრა აძურას“ ჩავარდნას ველოდებოდი. სინამდვილეში კი კონტრაქტი ოფიციალურად ამ წუთასაც არ გაგვიფორმებია და არც ფინანსურ საკითხებზე გვიმსჯელია. უბრალოდ, სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს“.

ლიპის ფორმაციის ნაკრები უფრო შემტევ და მრავალფეროვან ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე დონადონისა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს და ყველაფერი დონადონის არ უნდა დაბრალდეს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ლიპი უფრო დიდი და წარმატებული მწვრთნელია, უდავოა.

„მნიშვნელოვანია, რომ ენთუზიაზმი არ დავკარგოთ. მიღწეულმა წარმატებამ მოტივაცია არ უნდა დაგაკარგვინოს. ესპანეთს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც აქამდე არაფერი მოეგოთ. თუმცა საკლუბო დონეზე საკმაო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. ჩვენ ცოტა სხვა მდგომარეობა გვაქვს, ორი წლის წინ ბიჭებმა ბრწყინვალე თამაშით მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. ახლა უნდა ვიპოვოთ ბალანსი იმ გამოცდილ მოთამაშეებსა და ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ნაკრებში სათამაშოდ მზად არიან. ყველა ფეხბურთელი მიყვარს, რომელთან ერთადაც 2006 წელს მუნდიალი მოვიგე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი „სკუადრა აძურაში“ დარჩება. ზოგი წავა, ზოგიც უფრო მეტად უნდა დაიხარჯოს. რაც შეეხება სათამაშო სტილს, სანაკრებო და საკლუბო დონეზეც უკვე მრავალჯერ დავამტკიცეთ, რომ კატენაჩო დიდი ხანია, წარსულში დარჩა. იტალიური ფეხბურთი ყრუ დაცვაში ჩაკეტვას არ ნიშნავს. არ დაგავიწყდეთ, რომ მუნდიალის ფინალის საკმაოდ დიდი ნაწილი ოთხი თავდამსხმელით ჩავატარეთ. ჩვენი მიზანი იქნება, რაც შეიძლება სწრაფად ისევ ისეთი შეკრული და აგრესიული გუნდი შევქმნათ, რომელიც შემტევ და ჭკვიანურ ფეხბურთს ითამაშებს. ძალიან მომწონს ევროპული კლუბების ახალი მიდგომა, მაგალითად „მანჩესტერ იუნაიტედის“, რომელსაც ჰყავს უეინ რუნი და იგი სისტემატიურად ჩადის უკან და ნახევარდაცვას ეხმარება. ეს ჩვენთვის არახალია, აქამდე გვქონდა მსგავსი მიდგომა და ასე გავაგრძელებთ“ — განაცხადა ლიპიმ.

დაიწყო საუბარი იმაზე, რომ დონადონის წასვლისა და ლიპის დაბრუნების შემდეგ, ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო ნესტა გადაწყვეტილებას შეცვლიან და ნაკრებში თამაშს განაახლებენო.

მარჩელო ლიპი: „მიმაჩნია, რომ ამ ორი დიდი ფეხბურთელის, რომლებმაც ნაკრებს ბევრი მისცეს, გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. ნამდვილად არ ვაპირებ მათთან ლაპარაკს, რათა აზრი შევაცვლევინო. ნესტამ და ტოტიმ თავიანთი არჩევანი უკვე გააკეთეს. ერთადერთი, შემიძლია, ყველას ვურჩიო, როცა 30 წელს გადაცდებით და დატვირთული გრაფიკის გამო ნაკრებშიც და კლუბშიც თამაში გაგიჭირდებათ, არ თქვათ — ეროვნული ნაკრებიდან მივდივარ. ამის ნაცვლად აჯობებს, ახსნათ გადაწყვეტილება და თქვათ, რომ ბევრი მიზეზის გამო, გიჭირთ ორივე ფრონტზე თამაში, ხოლო თუ მოგვიანებით სურვილი გექნებათ ნაკრებში თამაშისა და საჭირო იქნებით, ეს უპრობლემოდ მოხდება. ვფიქრობ, რომ არიან ფეხბურთელები, რომლებიც ნანობენ, რომ ნაკრებიდან კატეგორიული განცხადებებით წავიდნენ. ტოტის ხშირად ველაპარაკები ტელეფონით და ჩემი დაბადებისდღის წვეულებაზეც იყო, მაგრამ ნაკრებზე არ გვილაპარაკია და ამას არც ახლა ვიზამთ. მე პროფესიონალების გადაწყვეტილებებს პატივს ვცემ, მჯერა, რომ მათ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გაუჭირდათ“.

მიუხედავად იმისა, რომ ლიპი მაქსიმალურად ცდილობდა, ტაქტიკაზე და იმაზე არ ელაპარაკა, თუ რას გააკეთებდა დონადონისგან განსხვავებით, ჟურნალისტები მას მაინც არ ეშვებოდნენ მსგავსი შინაარსის კითხვებით.

„ჩემი მიზანია, ის გუნდი გავაღვიძო, რომელიც ორი წლის წინ დავტოვე. არ ვთვლი, რომ რაიმე ძირეულად არის შესაცვლელი, მაგრამ რამდენიმე ახალი სახე გვჭირდება. ორი წლის განმავლობაში რამდენიმე განსხვავებული სისტემით ვთამაშობდით. მთავარია, ორგანიზებული და შეთანხმებული თამაში დაცვასა და ნახევარდაცვაში, თან შეტევაში ორი ან სამი შემქმნელი ფეხბურთელი უნდა გყავდეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ისინი ცენტრფორვარდები იქნებიან, მეორე თავდამსხმელები, თუ ფლანგიდან შემტევები. მთავარია გუნდის საერთო მენტალიტეტი და შინაარსი, ცოდნა იმისა, თუ როგორ მოახდინო ზეწოლა მეტოქეზე და როდის თუ როგორ დაიცვა თავი. სასიამოვნოა, როცა 90 წუთი დომინირებ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ რეალურად ძლიერი მეტოქე არ გყავს. ნამდვილად ძლიერმა გუნდმა ზომიერად იცის, შეტევაც, ბურთის შენარჩუნებაც და თავდაცვაც. ცხადია, იმიტომაც დავბრუნდი, რომ ორი წლის წინ ამ ყველაფრით იმდენად ვისიამოვნეთ, რომ მიღწევების გამეორება გვინდა. მხოლოდ გამარჯვებით მიღებულ სიამოვნებაზე არ არის საუბარი. მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა მთელი ის დრო, რომელსაც 30-35 ფეხბურთელისგან შექმნილ გუნდში ატარებ და ქმნი ფსიქოლოგიურად ძლიერ, შეკრულ ნაკრებს. ეს ყველაფერი წარმატებისთვის აუცილებელია“ — აღნიშნა ლიპიმ.

იმ ორი წლის განმავლობაში, როცა სიგარის მოყვარული სპეციალისტი ისვენებდა, იგი დიდად არ შეცვლილა. დროის დიდ ნაწილს საკუთარ იახტაზე ატარებდა და ხშირად უწევდა მოყოლა, თუ როგორ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

„რამდენიმე კილო მოვიმატე! ორწლიანი პაუზა კი ავიღე, მაგრამ დასვენებას ამას ვერ დავარქმევდი, რადგან მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობდი და ვყვებოდი, როგორ მოვიგეთ მსოფლიოს ჩემპიონატი. ეს ისტორია 23 უნივერსიტეტში მოვყევი. ამას ხალისით ვაკეთებდი და ვუყურებდი მატჩებს. პარალელურად უარს ვამბობდი მიღებულ შეოთავაზებებზე. რაც შეეხება 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს, ყველაზე დიდი შეცდომა და საქმის ცუდად დაწყების საუკეთესო გზა იქნებოდა, თუ ვინმე ამას ფორმალობად ჩათვლის. როცა სამხრეთ აფრიკის საგზურს მოვიპოვებთ, მხოლოდ მერე შეგვეძლება იმ ტურნირის მოგებაზე ფიქრი, რომელზეც ბრაზილიის, არგენტინისა და გერმანიის დარი ნაკრებები ითამაშებენ“ — დასძინა ლიპიმ.

გიორგი ძაძაბაძე

პოტენცა ჯენოელი გახდა

იტალიურმა „ჯენოამ“ ნიჭიერი მცველი ალესანდრო პოტენცა დაიმატა. გენუელებმა იგი ფლორენციის „ფიორენტინასგან“ იყიდეს დაახლოებით 3 მილიონ ევროდ. 24 წლის ფეხბურთელს ასევე „ანკონაში“, „პარმაში“, „კიევოსა“ და „მალიორკაში“ უთამაშია.

კალაიო ნაპოლიდან წამოვიდა

„სიენამ“ „ნაპოლისგან“ 26 წლის თავდამსხმელი ემანუელე კალაიო იყიდა. ფეხბურთელი გასულ სეზონში თავის ცუდ თამაშს ნეაპოლელთა მწვრთნელ ედი რეხას აბრალებს, წესიერად თავის გამოჩენის საშუალებას არ მაძლევდაო. კალაიომ ტოსკანური კლუბის ფანებს პირობა მისცა, ვეცდები, „სიენას“ მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო.

კოკაინის მოყვარული იულიანო

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი მცველი მარკ იულიანო, რომელიც ამჟამად სერია B-ს „რავენაში“ თამაშობს, დოპინგზე ჩავარადა. მას ტესტი 1 ივნისს, „ჩეზენასთან“ შეხვედრის მერე ჩაუბარებინეს. როგორც გაირკვა, გამოცდილი მცველი კოკაინის მოყვარული ყოფილა. ახლა მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის, მაგრამ იქამდე ტესტი ხელმეორედ უნდა ჩააბაროს.

იუვეს ველოზუ არ უნდა

„იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ განაცხადა, მიგელ ველოზუს ყიდვას არ ვაპირებთ და უსაფუძვლო ჭორებს ყურს ნუ მიუგდებთო. პარალელურად კი ტურინულ კლუბს კიდევ ორი ფეხბურთელი დაუკავშირეს — სვეილიელი კრისტიან პოულსენი და პარმელი ლუკა ჩიგარინი, ვისიც იტალიაში ძალიან ეიმედებათ.

მეხის მსხვერპლნი

ტრაგედია დატრიალდა კამბოჯის დედაქალაქ პნომპენში. საფეხბურთო მინდორზე დაცემულმა მეხმა სამი ფეხბურთელის სიცოცხლე შეიწირა და კიდევ ოთხი დაშავდა. მთავრობამ უკვე მიიღო ახალი კანონი, რომლის თანახმადაც ჭექა-ქუხილის შემთხვევაში, ყველა ფეხბურთელმა სასწრაფოდ უნდა დატოვოს მოედანი. წლეულს კამბოჯაში მეხმა უკვე 40 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ევერტონი აიმარს უტრიალებს

ინგლისურ „ევერტონს“ მიზანში არგენტინელი პლეიმეიკერი პაბლო აიმარი ამოუღია და ლივერპულელები მზად არიან, სეგუნდადივიზიონში გავარდნილ „სარაგოსას“ მასში 7 მილიონი ევრო გადაუხადონ. აღსანიშნავია, რომ 2 წლის წინ „სარაგოსამ“ აიმარი „ვალენსიასგან“ 8 მილიონად იყიდა.

კოკი კანდელაკი

euro_fan_2008@yahoo.com

KOTE77: გაუმარჯოს „სარბიელს“! კარგი ევრო ლამაზად დამთავრდა. ღირსეულად გახდა ესპანეთი ჩემპიონი. გიო ახვლედიანის არ იყოს, მეც ჰოლანდიაზე დამწყდა გული. მართლა მაგარი იქნებოდა ჰოლანდია — ესპანეთი! ისე, ჰოლანდიას რა მოუვიდა, ვერ გავიგე. რა ითამაშა ის ორი თამაში და მერე რა გააკეთა, მე მგონი, ჩვენგან გადაედო. ხო, მართლა, წინა წერილში მოგწერეთ „ბანანცთან“ და „ტორსჰავნთან“ ვაგებთ-მეთქი, მაგრამ ვერ გამოვიცანი. ამჯერად პროგრესი გვაქვს — „ეტცელასთან“ ფრე!!! ისე, როდემდე უნდა გაგრძელდეს? სირცხვილია!!!! ახლა „დინამოს“ და „ზესტაფონის“ იმედზელა დავრჩით, ნეტა „ბანანცი“ და ბატე არ შეგვხდეს და თუნდაც „ლივერპული“ ან ბარსა შეგვხდეს. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ „ლივერპული“ ან „ბარსა“ რო შეგვხდეს, „ბანანცს“ და ბატეს უნდა გავცდეთ! როდემდე უნდა ვიყოთ ამ დღეში? ისე, წინა წერილში მოგწერეთ, ჩემი აზრით, მიზეზი და მე მგონი, მართალი უნდა ვიყო. მაგრად მომეწონა თქვენი შავი პირველი ფურცელი. ისე, ამ ევროს დროს ბევრი „კრიტიკოსისგან“ გამიგია, პირველ ფურცლებზე სხვებზე წერენ, ჩვენებზე დაწერილი კი უნდა ეძებოო. აჰა, ბატონო, პირველივე გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ „ჩვენებზე“!!! ისე, მე მგონი, სტადიონზე სიარულს უნდა დავანებოთ თავი, დროებით მაინც. დილით რო ვიღვიძებ, სულ ვფიქრობ.

ორი რაღაცა მიხარია და მერე მახსენდება, რომ „სარბიელი“ უნდა ვიყიდო. ჯიგრები ხართ!!! კიდევ კარგი, თქვენ მაინც ხართ, თორემ ალბათ ფეხბურთის ყურებასაც და ფეხბურთზე კითხვასაც დავანებებდი თავს! გმადლობთ! კარგად.

GIO81: გამარჯობა „სარბიელს“! ყოველთვის გწერდით ხოლმე წერილებს, ხან მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხან საქართველოს ნაკრებზე და ხან ჩვენს მორაგბეებზე. ამ ევროზე არ ვაპირებდი მოწერას. წინა ევროს შემხედვარეს, არც ამ ევროზე მქონდა გრანდების იმედი, ახლა თუ „გაზპრომი“ ეხმარება რუსეთს, მაშინ საბერძნეთს ვინ დაეხმარა 2004-ში? არა მგონია, მთლად „გაზპრომის“ ტაოტიანი ფულების ამბავი იყოს მარტო, აქ კიდევ სხვა ამბავია, ევროჩემპიონატი ჩელენჯერივით არის ისერა ნაკრებისთვის, საუკეთესო ოთხეულში თურქეთს და რუსეთს რა უნდათ აბა. ეჰ, საქართველო...

ისევ პორტუგალიური პრობლემა

კლებერსონის დიდი ფილ-ანტროპია

ალექს ფერგიუსონი
და კარლუშ კეირუში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს საჭიდაო არ ელევა. თან, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჭიდაობა ძირითადად პორტუგალიელების შესანარჩუნებლად უწევს — კრიშტიანუ რონალდუს დატოვებიდან რამდენიმე დღეში მის წინაშე გამოცდილი ასისტენტის, კარლუშ კეირუშის საკითხი წამოიჭრა: პორტუგალიის ფეხბურთის ასოციაციამ კეირუშს ნაკრების გაძღოლა შესთავაზა.

პრინციპში, როგორც კი ბრაზილიელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გამოაცხადა, რომ „ჩელსიში“ მიდის, პორტუგალიელებმა მყისვე დაიწყეს კეირუშზე ლაპარაკი, ასე რომ ეს ამბავი ფერგიუსონისთვის მთლად მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით არ უნდა ყოფილიყო.

ინგლისური გაზეთები ვარაუდობენ, რომ 55 წლის კეირუში, რომელიც 1990-93 წლებში პორტუგალიის 20-წლემდელთა ნაკრებს წვრთნიდა, სამშობლოდან მიღებული შემოთავაზებით ფრიად მოხიბლული უნდა იყოს, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს: „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ალექს ფერგიუსონის წასვლის შემდეგ ის, შესაძლოა, დიდი სქოთის მემკვიდრე გახდეს. გამოდის, რომ კეირუშმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რა უჯობს, დაახლოებით ორი წლით მოცდა და მერე „მანჩესტერ იუნაიტედის“ (ალბათ) გაძღოლა, თუ დღესვე არსებულ რეალურ და მაცდურ წინადადებაზე გამოხმაურება.

პორტუგალიელი სპეციალისტი 2002 წლის შემდეგ ფერგიუსონის გვერდშია, თუ არ ჩავთვლით ერთ სეზონს, როდესაც მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა.

ამასობაში, თითქოსდა ფერგიუსონის მეტად გასაღიზიანებლად, ოკეანის გაღმიდან ხმა მისმა ყოფილმა ნახევარმცველმა კლებერსონმა ამოიღო. ხომ გახსოვთ ბრაზილიელი კლებერსონი? ახლა ის სამშობლოში, კერძოდ კი „ფლამენგოში“ თამაშობს და აცხადებს, რომ ინგლისურ ფეხბურთში სკოლარის გამარჯვებათა ხანა იწყება — მოგეხსენებათ, კლებერსონი სკოლარის დროინდელ ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა და 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

„მწამს, მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ინგლისში წარმატებას მიაღწიოს — თქვა ყოფილმა მანჩესტერელმა — სკოლარის ხელმძღვანელობით „ჩელსის“ ფანებს ბევრი გამარჯვების და ტიტულის იმედი უნდა ჰქონდეთ. მართალია, მან ბოლო წლები სანაკრებო ფეხბურთში გაატარა, მაგრამ ზურგს ისეთი საკლუბო გამოცდილება უმაგრებს, რომ ეჭვი არ მეპარება, ადაპტაციას შეძლებს. შესაძლოა, გარკვეული პრობლემა ენამ შეუქმნას, მაგრამ კატასტროფული არაფერი იქნება, რადგან ვიცი, სკოლარის ინგლისური ესმის და თვითონაც შეუძლია ლაპარაკი“.

ვისაც კლებერსონის მანჩესტერული კარიერა კარგად არ ახსოვს, მოვახსენებთ, რომ დღეს 29 წლის ფეხბურთელს „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ორი არცთუ წარმატებული სეზონი ჰქონდა, რის შემდეგაც, 2005 წელს თურქულ „ბეშიქთაშში“ გადავიდა.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამ ბრაზილიელი ფეხბურთელის აზრით, „ჩელსის“ ვარსკვლავებსა და თვის მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს სკოლარის ხასიათთან შეგუება მოუწევთ.

„სკოლარი დარწმუნებულია, რომ გასახდელში სიტყვა მხოლოდ მას ეთქმის. მას არ აინტერესებს კლუბის მართვა და ამ სფეროში ცხვირს ნამდვილად არ ჩაყოფს, მაგრამ დირექტორებისა და სხვა ოფიციალური პირებისგან გუნდის მიმართ ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვს. ფეხბურთელთა გაძღოლის საქმეში ის შეფს ვერ აიტანს. დანიშნეს მწვრთნელად? ესე იგი, ყველა გადაწყვეტილებას თავად მიიღებს. ვინ ითამაშებს და სკამზე ვინ იჯდება, მხოლოდ მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს, ხოლო ვისაც ეს არ მოეწონება, დიდ პრობლემებს გადაეყრება. ზოგადად სკოლარი ძალიან კეთილი ადამიანია, მაგრამ ყველა ფეხბურთელს მეტისმეტად მკაფიოდ მიუჩენს თავის ადგილს. მისთვის ყველა ერთია. მახსოვს, როდესაც 2002 წლის მუნდიალზე წამიყვანა, თვით ბრაზილიაშიც საკმაოდ უცნობი მოთამაშე ვიყავი, მაგრამ მას ჩემი სწამდა და მსოფლიოს ჩემპიონად მაქცია. ამას არასდროს დავივიწყებ“.

პაპუნა კედია

იმპერატორს ტახტი დაუმტკიცეს

ფათიჰ
თერიმი

იმ სასწულების გამო, რაც თურქეთის ნაკრებმა ევროჩემპიონატზე ჩაიდინა, ფათიჰ თერიმს კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივეს.

„იმპერატორად“ წოდებულ მწვრთნელს ხელშეკრულება 2010-ში ეწურებოდა, ევრო 2008-ის შემდეგ კი განაცხდა, ერთ-ერთი იტალიური კლუბი მეპატიჟებაო.

მას ადრეც უთქვამს, არ ვმალავ, რომ იტალია მიყვარს და იქ დიდი სიამოვნებით კიდევ ვიმუშავებდიო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა ჰასან დოღანმა დარჩენაზე დაიყაბულა.

„იგი დათანხმდა ახალ პირობებს, ნდობისთვის მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, რომ ნაკრებში მუშაობით ბედნიერია“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

თურქები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპის პირველ მატჩს სტუმრად სომხებთან ითამაშებენ.

სომხეთის გარდა ჯგუფში არიან ევროპის ჩემპიონი ესპანეთი, ბელგია, ბოსნია და ესტონეთი.

თურქთა ნაკრებმა ევრო-2008 პორტუგალიასთან მარცხით დაიწყო, მერე კი ორი მატჩი ბოლო წუთებზე მოიგეს. მეოთხედფინალში ხორვატებს დამატებული დროის ბოლო წამს გაუთანაბრეს, პენალტებში აჯობეს და პირველად გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც განახევრებული გუნდით გერმანიასთან, ასევე ბოლო წამზე გაშვებულით წააგეს.

ტაში-ტუშით ჩელსისკენ



რონალდინიო არ მალავს, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარისთან, „ჩელსიში“ უნდა გადასვლა. „ბარსელონას“ ვარსკვლავმა ამ თემაზე უკვე უხვსიტყვაობას მიჰყო ხელი, რასაც, ალბათ, ორ კლუბს შორის მოლაპარაკებათა დაჩქარების მიზნით აკეთებს. შეგახსენებთ, რომ სკოლარიმ ბრაზილიის ნაკრები 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა და მისი გუნდის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა სწორედ რონალდინიო გახლდათ.

„სკოლარის უდიდეს პატივს ვცემ. მას იმ დროიდან ვიცნობ, თავად პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ის კი „გრემიოს“ წვრთნიდა. ახლა მისი ხელმძღვანელობით მუშაობის მორიგი შანსი მეძლევა და თუ გამოვიყენებ, ბედნიერი ვიქნები. მე და მას მსოფლიოს ჩემპიონატთან საერთო მოგონებები გვაკავშირებს. სკოლარის ხელმძღვანელობით მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, ამის დავიწყება კი არაფრით შეიძლება“.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრების გადამდგარმა მწვრთნელმა, „დიდ ფილად“ წოდებულმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ამ ზაფხულს „ბარსელონასგან“ უკვე იყიდა ერთი ფეხბურთელი. ეს გახლავთ დეკუ, რომელშიც ლონდონელებმა 8,3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, ახლა კი „კამპ ნოუს“ დატოვებას რონალდინიოც აპირებს. კაცმა რომ თქვას, ბარსელონაში ბრაზილიელზე გული მაინცდამაინც არც დაწყდებათ, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში კატალონიელებს ვერანაირი ტიტული ვერ მოაგებინა და მხიარული ცხოვრების წესით ბევრი გააჯიზიანა კიდეც.

არადა, მანამდე გახსოვთ? მანამდე, რონალდინიოს დიდი ხელშეწყობით „ბარსამ“ ესპანეთის ჩემპიონის ორი ტიტული და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ხოლო როგორც ცალკე აღებული მოთამაშე, ასევე ორჯერ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად.

მერე კი წარუმატებლობების ხანა დადგა, რასაც კატალონიურ პრესაში მისი დაუსრულებელი ქეიფების მუდმივი განხილვა დაერთო. ამას ბარძაყის ტკენა დაემატა, რის შედეგადაც რონალდინიოს მარტის შემდეგ ბურთი აღარ უთამაშია.

ახლა ბრაზილიელი ვარჯიშობს და ამბობს, რომ თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად პეკინის ოლიმპიადაზე აპირებს თამაშს, თუმცა „ბარსელონა“ ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

„ოლიმპიადაზე წასვლა ჩემთვის დიდი მოტივაციაა — განაგრძობს რონალდინიო — ამჯერად, ჩემს უმთავრეს მიზანს პეკინში გამგზავრება და ამისათვის კარგად მომზადება წარმოადგენს. „ბარსელონაში“ კი ჯერ არ შევსულვარ და კლუბის წარმომადგენლებთან არ მილაპარაკია. გონება მხოლოდ მოედანზე დაბრუნებით მაქვს დაკავებული, ხოლო ოფისში მისვლის დრო მომწიფდება და მერე მივალ. ვფიქრობ, ჩემი კარიერის მწვერვალი ჯერ არ დამდგარა. სულაც არ მგონია, რომ ამქვეყნად რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე. ასეთი ფიქრისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ. ბრაზილიის ნაკრებთან ერთად დიდი გამარჯვებების მოპოვება მწყურია და ამისათვის ვარჯიშს არ დავიზარებ“.

შემდეგ რონალდინიოს მის ჰარიჰარალე ცხოვრებაზე ჰკითხეს.

„ყოველთვის ასეთი ვიყავი და ამას ჩემთვის ფეხბურთელობაში ხელი არასდროს შეუშლია. უბრალოდ, როდესაც ტიტულებს ვერ იგებ, ხალხი მიზეზების ძებნას იწყებს და ისეთ რაღაცებს აქცევენ ყურადღებას, ადრე მნიშვნელობას რომ არ ანიჭებდნენ. მე უცოლო კაცი ვარ, მაგრამ ეს ფეხბურთელის კარიერაში ხელს არ მიშლის“.

პაპუნა ძედია

ვილიასა და სილვას ვალენსიური იდილია

ევროპის ახალგამომცხვარი ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების გამორჩეულ მოთამაშეებს შორის უდავოდ არიან ვალენსიელები — დავიდ ვილია და დავიდ სილვა. მათ უკვე რა ხანია ბევრი მსურველი ჰყავთ, მაგრამ „ღამურებს“ ორივეს შენარჩუნება სურს და არც თავად ფეხბურთელებს უნდათ „მესტალიას“ დატოვება, მიუხედავად არაერთი მიმზიდველი შემოთავაზებისა.

„ჩვენ გვსურს, ვილიაც და სილვაც შევინარჩუნოთ. მათი გაყიდვა რომ გვდომოდა, ანას დიდი ხნის წინ გავაკეთებდით. ახლაც გვაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება, მაგრამ, როგორც ვთქვი, ვილიასა და სილვას გაშვებას არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანი ბრწყინვალე, წარმატებული კლუბის შექმნაა“ — თქვა „ვალენსიას“ პრეზიდენტმა აგუსტინ მორერამ.

„ფანების მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი და ამაყი ვარ, რომ „ვალენსიაში“ ვთამაშობ. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, კმაყოფილი ვარ, კონტრაქტის პირობებითაც“ — თქვა ევრო 2008-ს საუკეთესო ბომბარდირმა ვილიამ.

დავიდ სილვა: „აქ მეც ბედნიერი ვარ. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ცოტა დავისვენო და სიამოვნება მივიღო ამ საოცარი წარმატებისგან. ყველა დანარჩენ საკითხზე აჯობებს კლუბს მიმართობ. „ვალენსიაში“ თავს კომფორტულად ვგრძნობ, თითქოს ოჯახში ვიყო. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს“.

კოტი კანდელაკი

ბენტი შავი კატა ხდება

შესაძლოა, „სანდერლენდი“ დარენ ბენტით გაძლიერდეს. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, „შავი კატები“ „ტოტენჰემს“ გაურიგდნენ, რომ ფეხბურთელში 10 მილიონ გირვანქას გადაიხდიან და წესით ტრანსფერი მალე ოფიციალურად გაფორმდება. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი ლონდონელთა რიგებში გასულ ზაფხულს „ჩარლტონიდან“ 16,5 მილიონის სანაცვლოდ გადავიდა, მაგრამ მოლოდინი ვერ გაამართლა.

გარიჩი ატალანტაში

ბერგამოს „ატალანტამ“ „ნაპოლისგან“ დიორდ გარიჩის კონტრაქტის ნახევარი იყიდა. წარმოშობით უნგრელი მცველი ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპის ჩემპიონატზე. ნეაპოლელთა რიგებში კი იგი 2006 წლის აგვისტოში გადაბარგდა ვენის „რაპიდიდან“.

ნელსენი ოლიმპიადაზე წავა

ინგლისური „ბლექბერნის“ ახალმა მწვრთნელმა პოლ ინსმა გუნდის კაპიტან რაიან ნელსენს პეკინის ოლიმპიადაზე თამაშის ნება დართო. გამოცდილი მცველი ერთ-ერთი გახდა იმ სამი 23 წელს გადაცილებული ფეხბურთელიდან, რომელიც ახალი ზელანდიის ნაკრებში გამოიძახეს. თუმცა პირობა ასეთია: ნელსენი ოლიმპიადაზე პირველ ორ მატჩს ჩაატარებს, მაგრამ მერე ინგლისში დაბრუნდება, რათა 16 აგვისტოს პრემიერლიგის პირველ ტურში „ევერტონის“ წინააღმდეგ ითამაშოს.

ვილჰელმსონი პანათინაიკოსში?

ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ კრისტიან ვილჰელმსონს დაადგა თვალი, რომელიც ფრანგული „ნანტის“ საკუთრებაა. გასული სეზონის მეორე ნახევარი მან იჯარის წესით გაატარა ლა კორუნიის „დეპორტივოში“. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ნახევარმცველი ევრო 2008-ის პირველსავე მატჩში დაშავდა და შვედებს დარჩენილ მატჩებში ვეღარ დაეხმარა.

ტოტენჰემმა კინი უარყო

ლონდონის „ტოტენჰემმა“ უარყო მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თითქოს ვეტერან ირლანდიელ ფორვარდ როი კინს გუნდის დატოვება უნდოდეს.

ბრიტანული პრესა ავრცელებდა ინფორმაციას, კინმა „ტოტენჰემს“ სთხოვა, „ლივერპულში“ წასვლის ნება მომეცითო. მერსისაიდელები კი სანაცვლოდ ლონდონელებს 5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან და პიტერ კრაუჩს დაუთმობენო.

ჟო სიტიში გადავიდა

ახალგაზრდა და ნიჭიერი ბრაზილიელი ფორვარდი ჟო კარიერას „მანჩესტერ სიტიში“ გააგრძელებს. ეს ინფორმაცია უკვე ოფიციალურად დაადასტურა ინგლისურმა კლუბმა. გავრცელებული ცნობით, „სიტიმ“ მოსკოვის ცსკა-ს ჟოში 18 მილიონი გირვანქა გადაუხადა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელზე გარკვეული უფლებები ჯერ კიდევ რჩება კომპანია MSI-ს. მალე „სიტი“ ალბათ ბოლომდე გამოისყიდის ფეხბურთელს.

ლიონს ქვინსი უნდა

რუსული პრესა იუწყება, რომ ფრანგული „ლიონი“ მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველით, ნიგერიელი ქვინსი ოვუსუ-აბეიეთი დაინტერესებულა და მზადაა, მასში 4 მილიონი ევრო გადაიხადოს.

აღსანიშნავია, რომ ადრე ქვინსის კიდევ ერთი ფრანგული გუნდი — „მონაკო“ უტრიალებდა.

ჰერენვენის ჯანი გაფარდა

პრემიერლიგაში აღზევებულმა „ვესტ ბრომვიჩმა“ „ჰერენვენისგან“ ჯანი ზუივერლონი იყიდა. ერედივიზიონის კლუბმა გარიგება დაადასტურა, ფეხბურთელი კი სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ჰოლანდიური მედიის ცნობით, ინგლისელებმა 21 წლის მცველში 4 მილიონი ევრო გადაიხადეს. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ზუივერლონი „ჰერენვენის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, კარიერა კი „ფეიენოორდში“ დაიწყო. იგი ინგლისში გუშინ ჩავიდა სამედიცინო შემოწმებაზე.

ორმეტრიანი თხა

ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა „კიოლნმა“, რომელსაც კრისტოფ დაუმი თავკაცობს, „გიმარაეშიდან“ ბრაზილიელი მცველი პედრუ ჟერომელი შეიძინა და ოთხწლიან ხელშეკრულებაზე გაურიგდა.

„ჩვენ რამდენიმე კონკურენტი გვყავდა და გვიხარია, რომ მან ეს კლუბი აირჩია — თქვა „თხების“ მენეჯერმა მიხაელ მაიერმა — ჟერომელი მეტრი და 90 სანტიმეტრია და ცხადია, თავით კარგად თამაშობს. გარდა ამისა, სიმაღლის მიუხედავად, საკმაოდ სწრაფია. სწორედაც რომ ასეთი მცველი გვჭირდებოდა“.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 ივლისი						
21:00	51	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		შვედეთი. ალსვენსკა						
		3 ივლისი						
21:00	15	მალმიო-ლიუნგსკილე	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
21:00	16	ორებრო-აიკ	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	17	ჰელსინგბორგი-გაის	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		4 ივლისი						
23:00	100	შემროკი-კობი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	102	კორკი-გალვეი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
22:45	103	დროგედა-დუბლინი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		5 ივლისი						
23:00	104	სლიგო-დერი	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
		6 ივლისი						
22:00	99	სტ.პატრიკსი-ფინ ჰარპსი	1.45	3.60	7.00	1.03	1.20	2.37
		აშშ. MLS						
		4 ივლისი						
23:45	114	სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		5 ივლისი						
12:00	18	ენერგია-ხიმკი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
19:30	19	ნალჩიკი-შინიკი	1.85	3.00	4.20	1.14	1.28	1.75
17:00	20	კრილია-რუბინი	2.80	2.80	2.50	1.39	1.32	1.32
		6 ივლისი						
16:00	21	ცსკა-დინამო მ	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
14:00	22	ტერეკი-სპარტაკი მ	4.30	3.10	1.80	1.80	1.26	1.13
19:00	23	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.70	3.20	4.60	1.11	1.24	1.88
18:00	24	ზენიტი-ტომი	1.45	3.50	7.50	1.02	1.21	2.38
		5 ივლისი						
06:30	115	ლოს ანჯელესი-ნიუ ინგლენდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
03:00	116	დალასი-კანზასი	1.95	3.20	3.45	1.21	1.24	1.66
05:30	117	კოლორადო-ნიუ იორკი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		6 ივლისი						
04:00	118	კოლამბუსი-ჩიკაგო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
06:30	119	ჩივასი-სან ხოსე	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		6 ივლისი						
01:15	120	ატლეტიკო პრ-სანტოსი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
01:15	121	ფლამენგო-ნაუტიკო	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:00	123	პორტუგესა-ვიტორია	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
20:00	124	ინტერნასიონალი-კურიტიბა	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
23:00	125	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
23:00	126	ატლეტიკო მნ-პალმეირასი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	127	გოიასი-ფლუმინენსე	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
23:55	128	ბოტაფოგო-გრემიო	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
23:45	129	სან პაულუ-იპატინგა	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10016	ორებრო-აიკ	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10017	ჰელსინგბორგი-გაის	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10018	ენერგია-ხიმკი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10019	ნალჩიკი-შინიკი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10020	კრილია-რუბინი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10021	ცსკა-დინამო მ	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10022	ტერეკი-სპარტაკი მ	4.70	2.10	2.10	1.45	1.45	1.04
10023	ლოკომოტივი მ-ამკარი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10024	ზენიტი-ტომი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11016	ორებრო-აიკ	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11017	ჰელსინგბორგი-გაის	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11018	ენერგია-ხიმკი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11019	ნალჩიკი-შინიკი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11020	კრილია-რუბინი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11021	ცსკა-დინამო მ	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11022	ტერეკი-სპარტაკი მ	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11023	ლოკომოტივი მ-ამკარი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11024	ზენიტი-ტომი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12015	მალმიო-ლიუნგსკილე 2,5	1.80	1.70
12016	ორებრო-აიკ 2,5	1.60	1.90
12017	ჰელსინგბორგი-გაის 2,5	1.70	1.80
12018	ენერგია-ხიმკი 2,5	1.70	1.90
12019	ნალჩიკი-შინიკი 2,5	1.60	2.00
12020	კრილია-რუბინი 2,5	1.70	1.90
12051	ბრანი-ბოდიო გლიმტი 2,5	2.10	1.60
12021	ცსკა-დინამო მ 2,5	1.70	1.90
12022	ტერეკი-სპარტაკი მ 2,5	1.70	1.90
12023	ლოკომოტივი მ-ამკარი 2,5	1.60	2.00
12024	ზენიტი-ტომი 2,5	1.80	1.80

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი.	არა.
13018	ენერგია-ხიმკი	1.70	1.90
13019	ნალჩიკი-შინიკი	1.70	1.90
13020	კრილია-რუბინი	1.70	1.90
13051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.60	1.85
13021	ცსკა-დინამო მ	1.70	1.90
13022	ტერეკი-სპარტაკი მ	1.90	1.70
13023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.70	1.90
13024	ზენიტი-ტომი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14015 მალმიო-ლიუნგსკილე	1.20	2.60
14016 ორებრო-აიკ	2.10	1.75
14017 ჰელსინგბორგი-გაის	1.30	2.50
14018 ენერგია-ხიმკი	1.65	2.30
14019 ნალჩიკი-შინიკი	1.65	2.30
14020 კრილია-რუბინი	1.95	1.85
14051 ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.45	2.40
14021 ცსკა-დინამო მ	1.70	2.20
14022 ტერეკი-სპარტაკი მ	2.30	1.65
14023 ლოკომოტივი მ-ამკარი	1.45	2.40
14024 ზენიტი-ტომი	1.20	2.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15015	მალმიო-ლიუნგსკილე	3.00	2.80	2.00
15016	ორებრო-აიკ	3.00	2.80	2.00
15017	ჰელსინგბორგი-გაის	3.00	2.80	2.00
15018	ენერგია-ხიმკი	3.00	2.80	2.00
15019	ნალჩიკი-შინიკი	3.00	2.80	2.00
15020	კრილია-რუბინი	3.00	2.80	2.00
15051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	3.00	2.80	2.00
15021	ცსკა-დინამო მ	3.00	2.80	2.00
15022	ტერეკი-სპარტაკი მ	3.00	2.80	2.00
15023	ლოკომოტივი მ-ამკარი	3.00	2.80	2.00
15024	ზენიტი-ტომი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.10	5.50
16016	ორებრო-აიკ	2.20	1.50
16017	ჰელსინგბორგი-გაის	1.22	3.40
16018	ენერგია-ხიმკი	1.30	3.00
16019	ნალჩიკი-შინიკი	1.32	3.00
16020	კრილია-რუბინი	1.95	1.65
16051	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.23	3.60
16021	ცსკა-დინამო მ	1.38	2.65
16022	ტერეკი-სპარტაკი მ	2.90	1.32
16023	ლოკომოტივი მ-ამკარი	1.24	3.60
16024	ზენიტი-ტომი	1.12	4.60

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17015 მალმიო-ლიუნგსკილე	1.85	1.95
17016 ორებრო-აიკ	1.85	1.95
17017 ჰელსინგბორგი-გაის	1.85	1.95
17018 ენერგია-ხიმკი	1.85	1.95
17019 ნალჩიკი-შინიკი	1.85	1.95
17020 კრილია-რუბინი	1.85	1.95
17051 ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.85	1.95
17021 ცსკა-დინამო მ	1.85	1.95
17022 ტერეკი-სპარტაკი მ	1.85	1.95
17023 ლოკომოტივი მ-ამკარი	1.85	1.95
17024 ზენიტი-ტომი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

დავით ბარბაქაძის აზერბაიჯანული ზეიმი



— სანამ ედინბურგში მოგებულ ტურნირზე გკითხავდე, ის გვითხარი, აზრებაიჯანის სახელით რატომ გამოდიხარ?

— 2 წლის წინ ბაქოს გუნდში ვთამაშობდი და იქაურებმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა და მათ ნაკრებში თამაში შემომთავაზეს. მაშინ დიდი კონკურენცია იყო საქართველოს ნაკრებში და ვიფიქრე, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიმეღო. თან მაშინ აზერბაიჯანელებს რიმას კურტინაიტისი წვრთნიდა, რომლის იდეაც იყო ჩემი აზერბაიჯანის ნაკრებში თამაში და მეც დავთანხმდი. 2 წლის წინაც მოვიგეთ C დივიზიონი, მაშინ ალბანეთში მასპინძლები დავამარცხეთ ფინალში.

— თუკი C დივიზიონი მოიგეთ, B დივიზიონში რატომ არ ითამაშეთ მომდევნო ციკლში?

— თავად აზერბაიჯანის ფედერაციამ თქვა უარი. უფრო სწორად,სახელმწიფომ არ გამოყო თანხა საიმისოდ, რომ გვეთამაშა. დაიანგარიშეს მგზავრობი, მეტოქე გუნდების მიღების ფული და ეძვირათ. ამიტომაც ისევ C დივიზიონში დავრჩით.

— აზერბაიჯანში სპორტში ჩვენზე მეტ ფულს დებენ და რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება?

— ფული ნამდვილად არ აკლიათ, მაგრამ უარი ალბათ უპერსპექტივობის გამო თქვეს. აზერბაიჯანში ძალიან სუსტი კალათბურთელები ჰყავთ, სულ 2-3 კაცია, რომელსაც საშუალო დონეზე შეუძლია თამაში. B დივიზიონში ყველა მატჩს უიმედოდ წააგებდნენ და ამიტომაც დაენანათ სირცხვილის ჭამაში ფულის გადახდა.

— და რა ხდება ახლა, როცა ხელმეორედ მოიპოვეთ B დივიზიონის საგზური?

— ახლა ვითარება შეიცვალა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ აზერბაიჯანი მომავალ სეზონში, ანუ 2 წლის შემდეგ B დივიზიონში ითამაშებს. არის რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო მოძლიერდებიან, თუმცა მთავარ აქცენტს უცხოელების ნატურალიზაციაზე აკეთებენ. ალბათ 1-2 ამერიკელს მისცემენ მოქალაქეობას და B დივიზიონშიც ღირსეულად გამოვალთ. ვნახოთ, ეს მომავლის პერსპექტივაა, ახლა კი აზერბაიჯანელები ედინბურგში მოგებულ ტიტულს ზეიმობენ. რეზონანსი დიდია. სპორტის მინისტრი უკვე შეხვდა გუნდს და როგორც ამბობენ, რამდენიმე დღეში თავად პრეზიდენტიც აპირებს იგივეს გაკეთებას. რამდენიმე დღეში მივდივარ ბაქოში ამ შეხვედრაზე

„ალბათ დავბრუნდებიან ბაქოში“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გასულ სეზონში რომ ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონა, ამაში დავით ბარბაქაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. უცნაური მეტსახელის (ველურა) მქონე ბარბაქაძე გასული სეზონის დასაწყისში გადავიდა თსუ-ში „ავიამშენიდან“ და სტუდენტების ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მას რომ სხვა ქვეყნის ნაკრებში არ ჰქონდეს ნათამაშები, საქართველოს ეროვნული ნაკრებში მოხვედრის კანდიდატი იქნებოდა, თუმცა „ველურას“ აზერბაიჯანული პასპორტი აქვს და ჩვენს მეზობლებს ახლახანს დივიზიონის ჩემპიონობაშიც დაეხმარა. ედინბურგში გამართული სუსტი საკალათბურთო ქვეყნების ტურნირზე ბარბაქაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და საბოლოოდ აზერბაიჯანელებს ზოგადად მოკრძალებული, თუმც მათთვის მნიშვნელოვანი ტიტულიც მოაპოვებინა. ბარბაქაძე ახლახან დაბრუნდა შოტლანდიიდან და ჩვენც იქაური ამბები გამოვკითხეთ...

დასასწრებად. პრემიებსაც დაგვპირდნენ. 2 წლის წინ რომ მოვიგეთ, მაშინ დაპირებული თანხა არ მოგვცეს და ახლა ორმაგად აპირებენ დასაჩუქრებას. ამის მიზეზი ის თავგანწირული თამაშია, რისი წყალობითაც ედინბურგში გავიმარჯვეთ.

— რთული თამაშები გქონდათ?

— ძალიან გაგვიჭირდა, რადგან თავიდანვე გამოგვაკლდა გუნდის მთავარი იმედი, 225-სანტიმეტრიანი საშა რინდინი. პირველ მატჩში ჰიბრალტართან თავიდან 0:10 ვაგებდით და ამან კიდევ უფრო დაგვაფიქრა. თუმცა ის თამაში მოვიგეთ, სან მარინოც დავამარცხეთ და ჯგუფში პირველი ადგილისათვის მატჩი მოლდოვასთან დავთმეთ. მიუხედავად ამისა, ნახევარფინალში გავედით და მასპინძელ შოტლანდიას შევეჩეხეთ.

— თუმცა არ გაგჭირვებიათ...

— არა და ეს იყო ყველასთვის დიდი საოცრება. ისე მოხდა, რომ ყველაფერი გამოგვივიდა. თითქმის ყველა ბურთი ჩავაგდეთ, დაცვაშიც შესანიშნავად ვირჯებოდით და მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე 25 ქულით დავწინაურდით. დარბაზი ტიროდა, ყველა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და ამ დროს ჩვენ მათ ზეიმი ჩავუშხამეთ.

— ფინალში ყველაზე უფრო მეტად გაგიჭირდათ...

— საჩემპიონო მატჩში ის მოლდოვა შეგვხვდა, რომელმაც ჯგუფში მოგვიგო. ძალიან დაძაბული მატჩი იყო, რომლის მოგებაც ნამდვილი გმირობა გამოგვივიდა. მესამე მეოთხედში 22 ქულას ვაგებდით, თან ხუთეულის წევრი, ტაჰირ ბახშიევი გაგვიგდეს და იმედი არსაიდან ჩანდა. მოულოდნელად, ყველა ავთამაშდით, მე ზედიზედ 3 სამქულიანი ჩავაგდე, ფუად ნიფთალიევმაც იყოჩაღა და ბოლო წუთებზე ანგარიში გავათანაბრეთ. გადამწყვეტი ქულები ნიფთალიევმა მიითვალა თამაშის დასრულებამდე 0,8 წამით ადრე. ხომ დიდი არაფერი ტიტულია, C დივიზიონის სუსტ გუნდებში გავიმარჯვეთ, მაგრამ ისეთი ბედნიერები ვიყავით, რომ ენით ვერ გადმოვცემ. ძალიან დრამატული ფინალი მოვიგეთ და ბაქოში ზეიმით დავბრუნდით.

— ახლა რას აპირებ?

— ჩავალ ბაქოში, სავარაუდოდ ილხან ალიევს შევხვდებით და მერე ისევ თბილისში დავბრუნდები. თამაშს სად გავაგრძელებ, თსუ-ში თუ სხვა გუნდს მოვნახავ, ეს ალბათ აგვისტოში გადაწყდება.

ირაკლი პერტაია



ბაირონ დევისი

საზაფხულო მიდი-მოდი

ბაირონ დევისი კლიპერსმა მიიტაცა

„გოლდენ სტეიტიდან“ გაქცეული ბაირონ დევისი ახალი გუნდის ძიებისას შორს არ წასულა, ისედაც დაბადებით და აღზრდით კალიფორნიელია და კალიფორნიაშივე დარჩა. ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი 5-წლიან და 65-მილიონიან კონტრაქტზე შეუთანხმდა „ლოს ანჯელეს კლიპერსს“.

დადიოდა ხმები, რომ დევისმა კარიერის „გოლდენ სტეიტში“ გაგრძელება უკეთეს გუნდში გადასვლის მიზნით იუარა. შავწვერა ბაირონს „დეტროიტი“ ეპარებოდა და არც სხვა რიგიანი გუნდები იტყოდნენ მასზე უარს, მაგრამ კალათბურთელმა აი ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და არჩევანი „კლიპერსზე“ შეაჩერა.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორადაც მოიქცა? „კლიპერსი“ ისტორიულად მაჩაწჩალა გუნდად ითვლება, ან კი მწვერვალებს როგორ დაიპყრობს, როცა დიადი „ლეიკერსის“ ქალაქში ბინადრობს და მისსავე დარბაზში თამაშობს. მხოლოდ 2005-06 სეზონში გაიბრწყინა, როცა პლეი ოფში ერთი წრე დაძლია. მაგრამ ამ სეზონთაშორის პერიოდში „კლიპერსის“ ხელმძღვანელს, ლეგენდარულ ელჯინ ბეილორს დიდი ცვლილებები აქვს ჩაფიქრებული და თუ ყველაფერი გამოუვიდა, ამ გუნდმა მომავალ სეზონში შეიძლება ხმამაღლა იყვიროს. აგერ, სუპერგამთამაშებელი უკვე გადაიბირა, ახლა კი ორი საკუთარი ვარსკვლავის შენარჩუნებაზე დაიწყო მუშაობა და ელტონ ბრენდი და კორი მაგეტი დარჩენაზე დაიყოლია, ამ კონტინგენტით კი „კლიპერსი“ სულ ცოტა პლეი ოფში გასვლას მაინც შეძლებს.

გუშინაც მოგახსენეთ, დევისის დარად ბრენდმაც და მაგეტმაც უარი თქვეს თავის გუნდთან 6-6-წლიანი კონტრაქტის უკანასკნელ სეზონზე იმ საბაბით, რომ სხვა გუნდში გადასვლის შანსი მიეღოთ, მაგრამ რაკი ასეთი კარგი ახალი თანაგუნდელი გამოუჩნდათ, თანაც ისევ გვერდით ეყოლებათ მზარდი ცენტრი კრის კამანი, ვინ იცის არსადაც აღარ წავიდნენ და ისევ ლოს ანჯელესში დარჩნენ, მით უმეტეს, რომ „კლიპერსი“ ბლომად მილიონებს გამოდის მათ შესანარჩუნებლად. ბეილორი ბრენდს ალბათ იოლად დაიყოლიებს, მაგეტის მოსაბრუნებლად კი ზედმეტი ერთი-ორი მილიონი დასჭირდეს, რადგან მას „სან ანტონიოც“ თავისკენ ექაჩება და ახლახან თვით ჩემპიონმა „ბოსტონმა“ გამოთქვა მისი შეძენის სურვილი.

ამასობაში კი დევისდაკარგულმა „გოლდენ სტეიტმა“ დიდი ფრონტი გაშალა გუნდის გასაძლიერებლად. კლუბის მმართველმა კრის მულინმა ლამის მთელი სალარო დააცარიელა და „ვაშინგტონის“ ლიდერს, ახლახან თავისუფალ აგენტად ქცეულ ჯილბერტ არენასს 5-წლიანი და 95-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ როგორც ამბობს, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მექულის დათრევის იმედი მალევე გადაეწურა, რადგან არენასი ძველ გუნდთან ახალი ხელშეკრულების დადებას აპირებს — ალბათ ის ისევ „ვაშინგტონში“ დარჩება 6 წლით და 125 მილიონად. თანაც არენასი შვიდი წლის წინ კარიერას „გოლდენ სტეიტში“ იწყებდა, იქ გაატარა პირველი ორი სეზონი და კარგადაც ახსოვს, რა გროშებს უხდიდნენ.

„გოლდენ სტეიტს“ კი ისღა დარჩენია, ამ მილიონებიდან ნაწილი საკუთარ ახალგაზრდა ვარსკვლავებს — მონტა ელისსა და ანდრის ბიედრინსს გაუნაწილოს, რათა ამათ თვალი სხვა გუნდისკენ არ გაექცეთ, ნაწილი კი სხვა რომელიმე თავისუფალ აგენტს დაახარჯოს, თუმც ხეირიანი მოთამაშეები ბაზარზე თვალსა და ხელს შუა თავდება.

დღესდღეობით თავისუფალ აგენტთა უმრავლესობა კარიერის გაგრძელებას ძველ გუნდში ამჯობინებს. მაგალითად, „ტორონტომ“ კიდევ რამდენიმე წლით დარჩენაზე დაიყოლია ესპანელი გამთამაშებელი ხოსე კალდერონი. ესპანელი ახლა სამშობლოშია და პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადება, თუმც იქიდან შეუთვალა კანადელებს, დამშვიდდით, ისევ თქვენი ვარო.

სავარაუდოდ, „ნიუ ორლეანში“ დარჩება სადღეისოდ ნბა-ს უძლიერესი გამთამაშებელი კრის პოლი, რომელსაც დაუმთავრდა პირველადი სამწლიანი კონტრაქტი, თუმც ისიც და კლუბიც ამ სამი წლით იმდენად კმაყოფილები არიან, რომ მალე ახალი სახელშეკრულებო ძაფებით შეკრავენ ურთიერთობის მომავალ რამდენიმე წელს.

„საკრამენტომ“ დაიყოლია სლოვენიელი გამთამაშებელი ბენო უდრიჰი და სიმართლე ითქვას, საამისოდ დიდი ძალისხმევა არც დასჭირვებია. უდრიჰი ერთი წლის წინ „სან ანტონიოდან“ მცირე ხელფასს გაექცა და „საკრამენტოში“ კომფორტულადაც მოეწყო, მაიკ ბიბის „ატლანტაში“ წასვლის შემდეგ მთლად გუნდის მთავარ პლეიმეიკერად იქცა და ახლა 5-წლიანი და 32-მილიონიანი კონტრაქტიც გაჩარხა. მეტი რაღა უნდა ინატროს პატარა ევროპელმა კალათბურთელმა? ისე, ბოლო სეზონში საშუალოდ ნაგროვები 12,8 ქულის და 4,3 პასის გარდა უდრიჰზე საბაზრო მოთხოვნილებამაც ასწია ფასი — სლოვენიელს „კლივლენდი“ და „ნიუ იორკი“ ემუსაიფებოდნენ.

„პორტლენდმა“ ნბა-ში თამაშზე დაიყოლია ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რუდი ფერნანდესი, რომელიც შარშანდელ დრაფტზე კი აირჩია, მაგრამ ფერნანდესმა მაშინ არ გააფორმა „პორტლენდთან“ კონტრაქტი და ევროპაში, თავის „ბადალონაში“ დარჩენა ისურვა, სადაც ის პირველი კაცი გახლდათ. მაგრამ დრო წინ მიდის, იცვლება სურვილები და მოთხოვნილებები და ფერნანდესმაც რომ შეხედა, „პორტლენდი“ რიგიან გუნდად იქცაო, გადაწყვიტა ოკეანე გადაესერა. „მიხარია, რომ ბრენდან როისთან ერთად ვითამაშებ — თქვა 23 წლის ესპანელმა მსროლელმა — ის ჩემზე ერთი წლით უმცროსი კია, მაგრამ ნბა-ში თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესოა და მისგან ძალიან ბევრის სწავლა შეიძლება.“

ირაკლი ფირაშვილი

შავი ზღვის თასი. U-17. ფოთი. 1-5 ივლისი

საქართველო 56:3 უკრაინა

საქართველო: მჭედლიშვილი, მარგიანი, ხიპაშვილი, ონიანი; კვარაცხელია, ლამბაშიძე; ჩილაჩავა, თხელიძე, ჭყოიძე(კაპ), ლოსაბერიძე, მიქაუტაძე, კვიწინაშვილი, ჯანჯალია, შენგელია

სათადარიგო: გოგოლაშვილი, კობახიძე, ჯინაშვილი, ერისთავი, მატკავა, რ. ულეტი, გ. ულეტი

7ლ: ჩილაჩავა (2), კვიწინაშვილი, ლოსაბერიძე, კობახიძე, გოგოლაშვილი, რ. ულეტი; **6გ:** მჭედლიშვილი (3), კოხრეიძე (3); **3ს:** კობახიძე (2), მჭედლიშვილი

უკრაინა: კრასნოდემსკი, ჩურვა, კულიკი (კაპ), ზახარკივი, ბელეცი; ხუკი, მანუკიანი; ლაშკო, კოლომიცევი, სოროჩენკო, ლისაკი, კულაკი, ვარგატი, პენჩურინი, ვერტილეცკი

სათადარიგო: გრიშენკო, კიტინი, რიახოკინი, ოვჩარუკი, კობზარი, კისერმანი, ურაიჩუკი

ს: კულიკი

კოლხი რაინდები 0:17 რუმინეთი

კოლხი რაინდები: მჭედლიძე, ანაკიძე, ვაჭარაძე (კაპ), კუხიანიძე, ხარაძე; მამალაძე, ჭურღულია; გიორგაძე, თხილიაშვილი, ქუთათელაძე, ქოიავა, მორჩაძე, ჩხიკვაძე, ანთიძე, ჟვანია

სათადარიგო: ტორაძე, ბალიაშვილი, ნადარაია, კვიცინაძე, გეგეშიძე, ჯგუბურია, მიტელაძე

რუმინეთი: ნიაკშუ, რადუცოიუ, სტანი, კონაკე, ფლორია; მუნტიანუ, ბრატუ; სობოტა, პაგლაუ (კაპ), ნეკულა, სტანი, დიაკონუ, არიტონი, ნიაკშუ, ტარაგანი

სათადარიგო: პლაგარუ, ნიცა, მუშატი, იაკობი, ტანასე, ანდრიესი, დუმიტრუ

ლ: ნიაკშუ; **4ს:** კონაკე

აქაც საქართველო და რუმინეთი

1 ივლისს ფოთში „შავი ზღვის თასის“ გათამაშების პირველი მატჩები გაიმართა. სათქმელია, რომ ეს ტურნირი საქართველოში პირველად ტარდება. მასში 17-წლამდელი მორაგბეებით დაკომპლექტებული გუნდები გამოდიან. შეჯიბრების ფორმატიდან გამომდინარე, პირველ დღეს გამარჯვებულები ფინალში, დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. სამომავლოდ ტურნირის მასშტაბების გაზრდაც იგეგმება, პირველ შეჯიბრში კი მხოლოდ საქართველოს, უკრაინის, რუმინეთისა და „კოლხ რაინდებად“ წოდებული დასავლეთ საქართველოს ნაკრები გუნდები ჩაებნენ ასპარეზობაში.

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები უკრაინის ეროვნულ გუნდს შეხვდა და შეუბრალებლად გაანადგურა. ჩვენმა 17-წლამდელებმა შვიდი უპასუხო ღელო გაუტანეს სლავ თანატოლებს. მე-20 წუთისთვის მასპინძლები უკვე 22:0 იგებდნენ. ერთადერთი ჯარიმა პირველი ტაიმის შუაწელში უკრაინელთა მე-13 ნომერმა არტიომ კულიკმა გაიტანა.

რუმინელ ახალგაზრდებს ვერაფერი მოუხერხეს „კოლხმა რაინდებმა“. დასავლეთ საქართველოს რჩეულნი ალალად დამარცხდნენ პატარა „მუხის ფოთლებთან“. საწყის ხუთწუთეულში იონეც ნიაკშუს გატანილ ღელოს სტუმრებმა გაბრიელ კონაკეს ოთხი საჯარიმოც მიუმატეს და მეტოქე უშანსოდ დატოვეს.

5 ივლისს ფინალში, საქართველოს ნაკრები რუმინეთის ეროვნულ გუნდს შეხვდება, ხოლო მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში „კოლხი რაინდები“ უკრაინელებს დაუპირისპირდებიან.

ზურაბ მიგრიაული

ქართველებმა ოქროები თავისუფლად წამოიღეს

ლატვიის ქალაქ დაუგავიპლსში 24-29 ივნისს გამართულ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკებში, ქართველები გასაოცარი წარმატებით გამოვიდნენ და 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ოქროს მედლები აიღეს ვლადიმერ ხინჩიგაშვილმა (54კგ), თენგიზ ჩოჩიშვილმა (63კგ) და მამუკა კორძაიამ (76კგ), ვერცხლი — აკაკი მოწონელიძემ (42კგ), ზურაბ კობიაშვილმა (46კგ) და თორნიკე ლურსმანაშვილმა (58კგ), ხოლო ბრინჯაო — ლევან ქელეხსაშვილმა (50კგ) და დავით გალეგაშვილმა (69კგ).

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებიდან ვერცხლი დაისაკუთრა ჯემალ ხარაბაძემ (54კგ), ხოლო ბრინჯაო — გიორგი დავითაიამ (50კგ) და უშანგი ჩიტიშვილმა (69კგ).

თავისუფლებმა გუნდურ ჩათვლაშიც არავის დაუთმეს პირველობა, მეორე ადგილზე აზერბაიჯანი გავიდა, მესამეზე კი რუსეთი. „ანტიკოსესი“ მე-5 ადგილს დასჯერდნენ.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ფალავანთა კლუბში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ჟურნალისტებს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე და ორივე ნაკრების თავკაცი თამაზ ბენდიანიშვილი (თავისუფლების) და ვაჟა კრავეიშვილი ესაუბრნენ.

კახა გეწაძე: ასეთი წარმატებული გამოსვლა აქამდე არ გვქონია და ძალიან გახარებულები ვართ. წლიდან წლამდე შედეგებს ვაუმჯობესებთ, ჩვენი მიზანიც ესაა, რომ ახალი წელი გასულზე უკეთესი იყოს. თავისუფლები საოცრად გამოვიდნენ, მერე კი ბერძნულ-რომაულის ბიჭები მსაჯებმა დაგვიჩაგრეს.

მოჭიდავეების წარმატებით გამოსვლა ძალიან კარგია მთელი ქვეყნისთვის და გვინდა, იგივე მოახლოებულ ოლიმპიადაზეც გაგრძელდეს. გულშემატკივარი იმედით ელის მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა გამოსვლას, მათ იქ აუცილებლად მედლებისთვის უნდა იბრძოლონ.

თამაზ ბენდიანიშვილი: ბიჭებმა შეკრებაზე ყველაფერი ჩადეს, ბევრი ივარჯიშეს და შედეგიც მიიღეს. ძალიან მეგობრული ნაკრები გვყავს. ერთის წარმატება მეორეს გადაედო და ასე, მოსაგებად მომართულებმა ბლომად მედლებიც დაგვიგროვეს.

ვაჟა კრავეიშვილი: მსაჯებმა მართლაც ძალიან დაგვჩაგრეს, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ ბიჭებით. დასანანი ისაა, რომ მეტიც შეგვეძლო.

ლექსო მაისურაძე

დორტმუნდის სუპერტურნირი. 28 ივნისი-6 ივლისი

III ტური

შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	იან გუსტაფსონი (გერმანია)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	1:0	ვლადიმირ კრამნიკი (გერმანია)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5	იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)

1. იან გუსტაფსონი	2
2. პეტერ ლეკო	2
3. შაჰრიარ მამედიაროვი	1,5
4. არკადი ნაიდიჩი	1,5
5. იან ნეპომნიაშჩი	1,5
6. ვლადიმირ კრამნიკი	1,5
7. ლუკ ვან ველი	1
8. ვასილ ივანჩუკი	1

დორტმუნდმა ფავორიტი არ იცის
კრამნიკი დაბლა დაუშვეს

არკადი ნაიდიჩმა ტურნირის მთავარი ფავორიტი ვლადიმირ კრამნიკი თეთრი ფიგურებით დააშამათა და მეექვსე ადგილზე ჩააბრძანა. თანამემამულის წარმატებით კი იან გუსტაფსონმა ისარგებლა, შაჰრიარ მამედიაროვს დაუზავდა და პეტერ ლეკოსთან ერთად მოწინავე პოზიცია შეინარჩუნა.

თამაში გუსტაფსონმა აქტიურად დაიწყო და უპირატესობასაც მალე დაეუფლა, თუმც შემდეგ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და 27-ე სვლაზე ყაიმს დათანხმდა.

ნაიდიჩმა და კრამნიკმა რუსული პარტია გაითამაშეს. გერმანელმა მე-4 სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს, ლაზიერის ფლანგზე მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა და შეტევა დაიწყო. მე-18 სვლაზე თეთრებმა ეტლით დაარტყეს შავებს, დედოფალი მოუკლეს და ხარისხით დაწინაურდნენ. ნაიდიჩმა იერიში ორივე ფლანგიდან განავითარა, კრამნიკის მეფე კუთხეში გამოკეტა და 42-ე სვლაზე დაატყვევა.

ლაზა გეგეჭკორი

ფიდემ კარლსენს მეორე ადგილი დაუგვიანა

ფიდეს ახალ რეიტინგს კვლავ ვიშვანათან ანანდი ლიდერობს. ინდუსმა ბოლო სამ თვეში წარუმატებლად იასპარეზა და ხუთი ქულა დაკარგა, თუმც მის ბედად კონკურენტებმაც ვერ იყოჩაღეს და ადგილიც შეუნარჩუნეს. დიდი ნახტომი გააკეთა მაგნუს კარლსენმა. 17 წლის ნორვეგიელმა 26,5 ქულა დააგროვა და მე-6 ადგილზე მოკალათდა. წესით იგი მეორე ადგილზე უნდა ყოფილიყო, თუმც ფიდემ ბოლო ტურნირზე დაგროვილი ქულების შეჯამება ვერ მოასწრო. შეგახსენებთ რომ მსგავსი უზუსტობები ფიდეს ადრეც გაპარვია და ეს გამონაკლისი არ არის.

მეორე-მესამე ადგილებს კვლავ რუსები ალექსანდრ მოროზევიჩი და ვლადიმირ კრამნიკი ინაწილებენ. ბოლო თვეებში კი ყველაზე წარმატებით ვასილ ივანჩუკმა ითამაშა. მან 45 სარეიტინგო ქულა დააგროვა და მეთერთმეტე ადგილიდან მეოთხეზე ახტა.

ქართველებიდან ასეულს მხოლოდ ერთი მოჭადრაკე შემორჩა. ბაადურ ჯობავა 55-ეა და აქტივში 2665 ქულა უწერია.

ქალებში ისევ იუდიტ პოლგარი ლიდერობს და მეორეადგილოსან ჰუმპუ კონერუს მთელი 89 ქულით უსწრებს. ჩვენებიდან ყველაზე უკეთ მაია ჩიბურდანიძე თამაშობს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს 2489 ქულა აქვს და მე-18 ადგილზეა. ასეულში კი საერთოდ 9 ქართველია.

ერთი წარმომადგენელი გვყავს 20-წლამდელ გოგონებში. 19 წლის ბელა ხოტენაშვილი 2352 ქულით მე-15 ადგილზეა.

ლაზა გეგეჭკორი

კაცები

1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	2798
2. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	2788
3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	2788
4. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	2781
5. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2777
6. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	2775
7. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	2744
8. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	2742
9. ალეკსეი შიროვი (ესპანეთი)	2741
10. პეტერ ლეკო (უნგრეთი)	2741
11. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)	2738
12. ლევონ არონიანი (სომხეთი)	2737
13. მაიკლ ადამსი (ინგლისი)	2735
14. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	2728
15. სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	2727
16. სერგეი მოვსესიანი (სლოვაკეთი)	2723
17. გატა კამსკი (აშშ)	2723
18. ბორის გელფანდი (ისრაელი)	2720
19. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	2718
20. ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)	2717
55. ბაადურ ჯობავა (საქართველო)	2665

ქალები

1. იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	2711
2. ჰუმპი კონერუ (ინდოეთი)	2622
3. ჟუნ ქსიე (ჩინეთი)	2574
4. იფან ჰოუ (ჩინეთი)	2557
5. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)	2550
6. პია კრამლინგი (შვედეთი)	2544
7. მარი სებაქი (საფრანგეთი)	2529
8. ქსუ ჟაო (ჩინეთი)	2522
9. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)	2511
10. ალეკსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)	2510
11. ვიკტორია ჩმილიტე (ლიტვა)	2508
12. კატერინა ლაჰნო (უკრაინა)	2507
13. ანა მუჟიჩუკი (სლოვენია)	2504
14. ლუფეი რუანი (ჩინეთი)	2499
15. ჩენ ჟუ (ყატარი)	2496
16. ელინა დანიელიანი (სომხეთი)	2495
17. ნატალია ჟუკოვა (უკრაინა)	2489
18. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო)	2489
19. თჰან თრან ჰოანი (უნგრეთი)	2487
20. იუჰუა ქსუ (ჩინეთი)	2483
31. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)	2461
36. ნანა ძაგნიძე (საქართველო)	2458
37. ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია)	2448
52. სალომე მელია (საქართველო)	2416
55. მაია ლომინეიშვილი (საქართველო)	2414
57. ნინო ხურციძე (საქართველო)	2413
60. ანა მათნაძე (საქართველო)	2411
62. სოფიკო ხუხაშვილი (საქართველო)	2408
83. ნონა გაფრინდაშვილი (საქართველო)	2376

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ჰონდა ალონსოზე ფიქრობს, ალონსო — სილვერსტოუნზე


ფერნანდო ალონსო

2005-06 წლებში ფერნანდო ალონსომ „რენოს“ სახელით ორი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა და „მაკლარენს“ მიაშურა, სადაც მისი პარტნიორი ახალბედა ინგლისელი ლუის ჰემილტონი იყო.

ალონსო შარშანაც ბოლო რბოლამდე ინარჩუნებდა საჩემპიონო შანსს, მაგრამ „მაკლარენში“ გატარებული სეზონი მისთვის მაინც კოშმარად იქცა, რადგანაც თვლიდა, რომ ინგლისურ გუნდში ინგლისელი ჰემილტონი აღმატებული პატივისცემითა და პრივილეგიებით სარგებლობდა და ამიტომაც, წლეულს ისევ „რენოში“ დაბრუნდა.

ერთ მდინარეში მეორედ შესვლა მართლაც ძნელი გამოდგა. პირველივე, ავსტრალიურ ეტაპზე ესპანელი მეოთხე კი იყო, მაგრამ შემდეგ მისი საქმეები უკან-უკან წავიდა. „რენო“ აშკარად ჩამორჩებოდა, არა მხოლოდ „ფერარისა“ და „მაკლარენს“, არამედ „BMW-ზაუბერსა“ და „რედ ბულსაც“ და ალონსო ამით აშკარად უკმაყოფილო იყო.

ბოლო ეტაპებზე მანქანა თითქოს უფრო სწრაფი გახდა. ყოველ შემთხვევაში, კვალიფიკაციებზე თითქოს კონკურენტუნარიანი იყო, მაგრამ უკვე, თავად ფერნანდოს აერია რამსები — კანადაში, სადაც შესანიშნავი საპოდიუმე შანსი ჰქონდა, უხეში შეცდომა დაუშვა და შემდეგ ყველაფერი გუნდს დააბრალა, ცუდი ტაქტიკა აირჩიესო. შემდეგ, საფრანგეთში, „რენოს“ მშობლიურ ტრასაზე, ესპანელი კლასიფიკაციისას მესამე იყო, რბოლის ბოლოს კი მხოლოდ მერვე აღმოჩნდა თავისი ახალბედა თანაგუნდელის, ბრაზილიელი ნელსინო პიკეს უკან, რომელმაც ორგზის ჩემპიონს ფინიშამდე ორი წრით ადრე გაასწრო.

ეს ყველაფერი კი „რენოს“ სამზარეულოში საკმაოდ დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის და, როგორც მავანმა ანონიმმა ინფორმატორმა განუცხადა გერმანულ FAZ-ს, ალონსო ყველას იგნორირებას უკეთებს და გაქცევაზეაო.

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. კარგა ხანია, ლაპარაკობდნენ, ესპანელი სამომავლოდ „ფერარიში“ აპირებს გადასვლასო და აი, ახლა ხმა როს ბრაუნმაც ამოიღო, თავად ძველმა „ფერარელმა“, ამჟამად კი იაპონური „ჰონდას“ შეფმა.

„არა მგონია იყოს გუნდი, რომელიც ალონსოსნაირ პილოტზე უარს იტყოდა. გამონაკლისს არც „ჰონდა“ წარმოადგენს და თუ მისი სურვილიც იქნება, მოლაპარაკებებსაც დავიწყებთ — განაცხადა ბრაუნმა და დაამატა — რა თქმა უნდა, ამ წუთისთვის „ჰონდა“ ბევრად ჩამორჩება „ფერარის“ და ალონსოს ალბათ „სკუდერიაში“ ურჩევნია, მაგრამ თუ ის იტალიელებთან არ წავა, უმალ კონტაქტზე გავალთ“.

მაშ ასე, „ჰონდამ“ საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა დაინტერესება ალონსოს პერსონით, მაგრამ ესპანელი, ჯერჯერობით, „რენოს“ მრბოლია და ფრანგულ საჯინიბოს ის ნამდვილად არ ეთმობა.

პეტ სიმონდსი, „რენოს“ ინჟინერთა აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ გუნდი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რათა ფერნანდო 2009 წლის სეზონისთვისაც შეინარჩუნოს. „ამ წუთას რეალობა ის არის, რომ პელოტონის შუაში ვართ და, თუ ალონსო შეძლებს გუნდის კრიზისიდან გამოყვანას, ნამდვილი გმირი იქნება. მთავარი ის გახლავთ, რომ მას შეუძლია ამის გაკეთება“ — ამბობს პეტ სიმონდსი.

ამასობაში კი თავად ესპანელი მრბოლი ინგლისშია და სილვერსტოუნზე გასამართი დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის ემზადება. ფერნანდომ სილვერსტოუნზე 2006 წელს იმარჯვა, 2005 და 2007 წლებში კი მეორემ უწია ფინიშს. ახლა მსგავსი შედეგის გამეორება ძალიან გაუჭირდება, თუმც ესპანელი იმედიანადაა განწყობილი: „საკმაოდ პოზიტიურად ვარ განწყობილი. ბოლო ეტაპებზე გამოჩნდა, რომ პროგრესს განვიცდით. კიდევ რაღაც-რაღაცების გაკეთებაა საჭირო, მაგრამ მთავარია, რომ წინ მივდივართ. თანაც ენსტონის ქარხანა, სადაც ჩვენს ბოლიდებს ამზადებენ, სილვერსტოუნიდან ერთი საათის სავალზეა და „მანი კურის“ შემდეგ, ესეც „რენოს“ საშინაო რბოლა გამოდის. სილვერსტოუნი, ეს ფორმულა 1-ის ნამდვილი ლეგენდაა და ყველაფერს გავიღებ წარმატების მისაღწევად“.

კახა ლომაძე

დომენიჩელიმ დანაკარგი აღმოაჩინა

სტეფანო დომენიჩელი

ამ უქმეებზე დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი გაიმართება და საპირველფორმულო სეზონი ეკვატორს გადალახავს. ჩემპიონატს, როგორც პილოტთა, ისე კონსტრუქტორთა შორის „ფერარი“ ლიდერობს და ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს „სკუდერიას“ სპორტული დირექტორის სტეფანო დომენიჩელისეული შეფასება მისი გუნდის მიერ განვლილ რვა ეტაპებზე ნაჩვენებ შედეგებზე.

დომენიჩელის აზრით, „ფერარის“ გაცილებით დიდი უპირატესობის მოპოვება შეეძლოს (ამ წუთისთვის გუნდურ ჩათვლაში „სკუდერია“ 17 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ „BMW-ზაუბერს“, ხოლო პილოტთა შორის ფელიპე მასა 4 ქულით უსწრებს რობერტ კუბიცას).

„თუ ცხრილში ჩავიხედავთ, უკმაყოფილების საბაბი თითქოს არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უამრავი ქულა გავფლანგეთ — ხანდახან შეცდომების, ხანაც მანქანის არასაკმარისი საიმედოობის გამო. რომ არა ეს ყველაფერი, ჩვენი უპირატესობა გაცილებით დიდი იქნებოდა — ბრძანა „ფერარის“ შეფმა და დაამატა — ვფიქრობ, საჩემპიონო ბრძოლაში ის სამი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ცხრილის თავში არიან, ანუ „ფერარი“, „მაკლარენი“ და „BMW-ზაუბერი“. რაც შეეხება პირად პირველობას, აქ ჩემპიონობაზე ოთხი მრბოლი აცხადებს პრეტენზიას და მოხარული ვარ, რომ მათგან ორნი „ფერარის“ წარმოადგენენ“.

კახა ლომაძე

რაღა დროს ლოკაუტი

გუშინ ნჰლ-ში თავისუფალ აგენტთა ბაზარი გაიხსნა — ანუ გუნდებს უფლება მიეცათ კონტრაქტებზე დალაპარაკებოდნენ უგუნდოდ დარჩენილ ჰოკეისტებს. და ისეთი ინტენსიური ვაჭრობა გაჩაღდა, კარგა ხანია რომ არ გამართულა. გუნდების ხელმძღვანელები თითქოს გადაირივნენო, იმხელა კონტრაქტები ჩამოარიგეს, რომ სამი წლის წინანდელი ლოკაუტი არც არავის გახსენებია. არადა, როგორც მოგეხსენებათ, 2004-05 წლების სეზონი იმიტომ ჩავარდა, რომ ზედმეტად გაბუქებული კონტრაქტების გამო რამდენიმე გუნდი გაკოტრების პირას იყო მისული და ნჰლმაც ჰოკეისტებს შემოსავალი გვარიანად შეუმცირა.

იქიდან მოყოლებული მხოლოდ სამი წელი გავიდა, მაგრამ თითქმის ყველამ დავიწყა მაშინდელი კრიზისის მიზეზი და ისევ გაჩაღდა უაზროდ დიდი ფულის ყრა. გუშინაც ამის არაერთი მაგალითი დაფიქსირდა, რასაც თანდათან მოგახსენებთ კიდეც.

ყველაზე მეტად „ჩიკაგომ“ გამოიჩინა თავი, რომელმაც მხოლოდ ორი ჰოკეისტი აიყვანა, მაგრამ უარმავი ფული კი დახარჯა. ჯერ იყო და გუნდმა კრისტობალ იუე დაისაკუთრა და ფრანგ მეკარეს ოთხწლიანი, 16 მილიონზე გათვლილი კონტრაქტი გაუფორმა. ამას კიდევ რა უშავს, „ქორებმა“ მერე კიდევ უფრო მეტად გაიგიჟეს თავი და მცველ ბრაიან კემპბელს 8 წლიანი და 56,8 მილიონიანი კონტრაქტი უბოძეს. არავინ უარყოფს, კემპბელი საკმაოდ რიგიანი მცველია, მაგრამ ის პირველ რიგში შეტევაში კარგად ჩართვებით გამოირჩევა და ამის გამო თავის მოვალეობებს ხშირად ივიწყებს, რის გამოც ამდენი ნამდვილად არ ღირს. ასე განსაჯეთ, თანამედროების უძლიერესი და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი, „დეტროიტის“ კაპიტანი ნიკლას ლიდსტრომი 7,2 მილიონს იღებს, აგერ კემპბელი კი ამიერიდან წელიწადში საშუალოდ 7,1 მილიონით შეივესებს ჯიბეს — ამიტომაც ოკეანისგაღმეთში ამტკიცებენ, რომ ეს წყალში ფულის უაზროდ გადაყრას ძალიან წაგავს.

ყველაზე აქტიური კი ბოლო დღეებში „ტამპა“ იყო, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ მფლობელი შეიცვალა და გუნდის ახალ ხელმძღვანელობასაც ელიტაში დაბრუნება განუზრახავს. „ელვებმა“ ახლახანს სტენლის თასის ფინალში დამარცხებულ „პიტსბურგს“ სამი შემტევი წაართვეს — რაიან მელოუნი (7 წელი, 31,5 მილიონი), ვეტერანი გერი რობერტსი და ადამ ჰოლი. ფლორიდელები არც ამაზე გაჩერებულან და „ფილადელფიიდან“ ვაცლავ პროსპალი დაიბრუნეს, გუშინ კი მას თანამემამულე ვადიმ ვრბატაც შემატეს — შედეგად ძალიან სოლიდური შეტევის ხაზი მივიღეთ. „ტამპამ“ მეკარის პრობლემასაც მიხედა და ვეტერან ოლაფ კოლციგს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ევგენი მალკინი პიტსბურგი რჩება

რახან „პიტსბურგი“ ვახსენეთ, ამ გუნდის პრობლემებსაც მივუბრუნდეთ — როგორც მოსალოდნელი იყო, „პინგვინებს“ ფაქტობრივად ახალი გუნდის შენება მოუწევთ. ზემოთ წასულ სამეულზე უკვე მოგახსენეთ, მათ გარდა დიდი შანსია, გუნდიდან მარიან ჰოსა და ერთ-ერთი წამყვანი მცველი ბრუკს ორპიკიც წავიდნენ. თუმც ანტარქტიდის ბინადრების გულშემატკივრები ეგებ ცოტა დამშვიდნენ თუ ვეტყვით, რომ გუნდში თითქმის ასი პროცენტით რჩება ევგენი მალკინი — რუსმა სიდნი კროსბის მიბაძა და იმაზე ნაკლები ფულის აღებას დათანხმდა, ვიდრე მომავალ წელს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე შეაძლევდნენ.

„ვაშინგტონმა“ გაქცეული კრისტობალ იუეს მაგივრად ჟოზე ტეოდორი მოიყვანა, რომელსაც მომდევნო ორ წელში 9 მილიონს გადაუხდის. გარდა ამისა, გუნდში რჩება პერსპექტიული მცველი მაიკ გრინიც, რომელსაც „დედაქალაქელები“ ოთხ წელიწადში 20 მილიონით გაამდიდრებენ. ჩვენში დარჩეს და ეს კონტრაქტიც ძალიან გაბერილად მოჩანს, რადგანაც არავინ იცის, გრინი ისევ გააგრძელებს პროგრესირებას, თუ ერთ ადგილზე გაიყინება.

ჭკუა ვერაფრით ისწავლეს „ტორონტოში“, სადაც ხელმძღვანელობამ ამ ზაფხულს გუნდი ფაქტობრივად დაშალა — ახლიდან ვაპირებთ შენების დაწყებასო და საამისოდ თავიდან მოიშორეს მაღალი ანაზღაურების მქონე ჰოკეისტები, მათ შორის კაპიტანი მატს სუნდინი და დარსი ტაკერი. თუმც გუშინ კანადურმა გუნდმა ორიოდ უაზრო კონტრაქტი გააფორმა. ჯერ ძალიან საშუალო დონის მცველ ჯერ ფინგერს სასწაულად დიდი, 4 წლიანი და 15 მილიონზე გათვლილი კონტრაქტი მისცა, შემდეგ კი სხვა ვერავინ მონახა და ვარსკვლავობიდან შორს მყოფი ფინელი ნიკლას ჰაგმანი დაიმატა.

„ნიუ ჯერსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუ ლამორელომ კი აშკარად წარსულში იმოგზაურა და თავისი ძველი მოთამაშეები, გუნდიდან წლების წინ წასული ბრაიან როლსტონი (4 წელი, 20 მილიონი) და ბობი ჰოლიკი (1 წელი, 2,5 მილიონი) დაიმატა.

სხვების ფონზე ნაკლებ აქტიური იყო ჩემპიონი „დეტროიტი“ — თუმც კენ ჰოლანდს რა ენაღვლებოდა, ?.. ჩიგანელებს ხომ ყველა ლიდერთან ხანგრძლივი კონრაქტები აქვთ გაფორმებული. ამიტომაც ჰოლანდი ჯერ მარტში გადმოყვანილ ბრედ სტიუარტს მოურიგდა, თან საკმაოდ იაფად (წელიწადში 3,75 მილიონს მიიღებს), მერე კი სათადარიგო მეკარის პრობლემა გადაჭრა და ძალიან საიმედო ტაი კონკლინი ჩალის ფასად (მომავალ წელს მხოლოდ 850 000 მიიღებს) აიყვანა.

კახა ლომაშვილი

რასმუსენის ორი წელი


მიქაელ რასმუსენი

ერთი წლის წინ დანიელმა მიქაელ რასმუსენმა, ფაქტობრივად, მოიგო „ტურ დე ფრანსი". ჰოლანდიური „რაბობანკის" მრბოლი დიდი უპირატესობით ლიდერობდა და „ტურის" გზაზე აღარც მთები იყო დარჩენილი, რომ მოულოდნელი სკანდალი აგორდა, აქაოდა, რასმუსენმა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის მიერ შემოღებულ რეგლამენტს გადაუხვია და ანტისადოპინგო სააგენტო მოატყუა, „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე სულ სხვაგან იმყოფებოდა, ანტისადოპინგო სააგენტოს კი სხვა მისამართი უთხრაო.

არადა, UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) რეგლამენტი მკაცრად ითხოვს მრბოლეებისგან, რომ მათ თავიანთი ადგილსამყოფელი ზუსტად მიუთითონ, რათა საჭიროების შემთხვევაში, არასაშეჯიბრო დოპინგ-ტესტი ჩაუტარდეთ.

სკანდალი აგორდა და „რაბობანკმა", ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, თავადვე მოკვეთა საკუთარი მრბოლი „ტურ დე ფრანსიდან" და გამარჯვება ესპანელ ალბერტო კონტადორს დარჩა.

და აი, თითქმის ერთი წლის შემდეგ რასმუსენის საკითხს წერტილი დაესვა — 34 წლის მრბოლი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და ეს, ფაქტობრივად, მისი კარიერის დასასრულს ნიშნავს.

დევიდ მილარი

ამერიკული გუნდი შოტლანდიური თავით

როდესაც შარშან „დისქავერი ჩენელი" დაიშალა, იყო იმის საშიშროება, რომ ლენს არმსტრონგისა და გრეგ ლემონდის გამზრდელი ქვეყანა ველოგუნდის გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა და წლეულს ამერიკის შეერთებული შტატები ველოპელოტონში ერთბაშად ორი გუნდით — „სლიპსტრიმითა" და „ჰაი როადით" არის წარმოდგენილი. თანაც ისე მოხდა, რომ „ტურ დე ფრანსის" დაწყების წინ ორივე გუნდს შეეცვალა გენერალური სპონსორი და ამიერიდან „ჰაი როადი" „კოლუმბიად" იწოდება, ხოლო „სლიპსტრიმს", სავარაუდოდ, „გეირმინ-ჩიპოტლი" დაერქმევა, თუმც ეს ბოლო ვარიანტი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ჩვენც ისევ „სლიპსტრიმი" ვუწოდოთ.

„სლიპსტრიმის" ლიდერი „ტურზე" 31 წლის შოტლანდიელი დევიდ მილარი იქნება, ვინც ერთადერთი ბრიტანელია, „ტურ დე ფრანსის" ლიდერის ყვითელი მაისურა რომ სცმია.

თავის მეექვსე „ტურზე" მილარს დახმარებას ამერიკელები — კრისტიან ვანდე ველდე, დენი პეიტი, ვილ ფრაიშკორნი, კანადელი რაიდერ ჰესკდალი, ავსტრალიელი ტრენტ ლოუ, ახალზელანდიელი ჯულიან დეინი, ახალგაზრდა დანიელი მარტინ მაასკანტი და შვედი მაგნუს ბაკსტალტი გაუწევენ.

გუნდის სპორტული დირექტორი ჯონათან ვოუტერსი იმედიანადაა და მინიმუმ ერთი ეტაპის მოგებას გეგმავს.

ვინომ წასვლისა თქვა

ალექსანდრ ვინოკუროვი ველოსპორტში დაბრუნებას აღარ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მრბოლი შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე" ჰემოტრანსფუზიაში, ანუ სისხლის გადასხმაში ამხილეს, შემდეგ მისი ბედი ანდრეი კაშეჩკინმაც გაიზიარა და ყაზახური ველოგუნდი „ასტანა" ბძულებული გახდა, „ტური" დაეტოვებინა.

კაშეჩკინი ჯერ ახალგაზრდაა და ალბათ კვლავ დაბრუნდება ველოპელოტონში, ხოლო „ვინომ" წასვლა ამჯობინა. არადა, ყაზახეთის ველოფედერაციამ თავისი მრბოლი ერთი წლით დასაჯა, რამაც ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის აღშფოთება გამოიწვია და UCI-ს თავკაცები ყაზახებს სანქციებით დაემუქრნენ, თუ ისინი ვინოკუროვს პეკინის ოლიმპიადისთვის განაცხადში შეიყვანდნენ.

ვინოკუროვს დისკვალიფიკაციის ვადა 21 ივლისს ეწურება, მაგრამ ახლა ამას, როგორც ჩანს, აღარ აქვს აზრი — „ვინომ" წასვლისა თქვა და დაამატა, მეყოფა ბორბლების ტრიალი, საკუთარ ბიზნესს უნდა მივხედოო.

ახალი კოლუმბია

ახლა უკვე „კოლუმბიად" წოდებული „ჰაი როადი" რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსზე" დიდი რიხით მიდის.

ამერიკული ველოგუნდის დირექტორი როლფ ეილდეგი რამდენიმე ეტაპის მოგებას იმედოვნებს და ამავდროულად ფიქრობს, რომ მის მრბოლებს, კერძოდ კი ლუქსემბურგელ კიმ კირხენს და ამერიკელ ჯორჯ ჰინკეიპის გენერალურ კლასიფიკაციაშიც შეუძლიათ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა.

ეილდეგის ოპტიმიზმს საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია. ახლად შექმნილმა გუნდმა წლეულს, უკვე 11 გამარჯვება მოიპოვა და ვეტერანი ჰინკეიპის რა მოგახსენოთ და, კირხენს ნამდვილად ძალუძს ფავორიტებისთვის სისხლის გაშრობა.

სპრინტერულ ეტაპებზე გუნდის იმედი 23 წლის ინგლისელი მარკ კავენდიშია, რომელმაც წლევანდელ „ჯირიოზე" ორი ეტაპის მოგება მოახერხა. საკმაოდ კარგი სპრინტერია ჯერად ციოლეკიც და მარუს ბურჰარტსა და ბერნარ ეიზელსაც ხელეწიფებაც ბოლო მეტრებში აჩქარება.

მთებში კი მთავარი კაცი კირხენი იქნება, ვისაც თავის მე-12 „ტურზე" მიმავალი ჰინკეიპი ამოუდგება გვერდით და ნუ დავივიწყებთ, რომ ამ უკანასკნელს მრავალი ათასი კილომეტრი გაუვლია ლენს არმსტრონგის გრეგარის როლში.

ამათ გარდა, „კოლუმბიას" განაცხადში არიან წლეულს „ჯორჯიის ტურის" მომგები ბელარუსი კონსტანტინ სივცოვი, უნივერსალი შვედი ტომას ლოვკვისტი და ადამ ჰანსენი, ვისაც აგრეთვე არ ესწავლება მთებში სიარული. ასე რომ, მართლაც სერიოზული კომპანიაა შეკრებილი და ამ გუნდისგან ნურაფერი ნუ გაგვიკვირდება.

თოთხმეტიანი ცაბელი

სეზონის უმთავრესი რბოლის, რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე ოთხიოდე დღეა რჩება და მონაწილე გუნდები აგრძელებენ შემადგენლობების დასახელებას.

ცხრაკაციანი სია გამოაქვეყნა იტალიურ-გერმანულმა ველოგუნდმა „მილრამმაც" და ამ სიის თავში 37 წლის ერიკ ცაბელია, ვისთვისაც წლევანდელი „ტური" მე-14 იქნება. ცაბელს 1996-2001 წლებში მიყოლებით ექვჯერ აქვს მოგებული „ტურის" ყველაზე აქტიური მრბოლის, ანუ საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურა. მართალია, ვეტერანი გერმანელი კიდევ ერთი მწვანე მაისურას მოიპოვებას, ალბათ ვეღარ შეძლებს, მაგრამ მინიმუმ ერთი ეტაპის მოგებისთვის მაინც იბრძოლებს.

ცაბელის გარდა „მილრამის" სატურდეფრანსო განაცხადში კიდევ ოთხი გერმანელია — კრისტიან კნეესი, რალფ გრაბში, მარტინ მიულერი და ბიორნ შრიოდერი, რომელთაც გვერდით ჰოლანდიელი ნიკი ტერპსტრა, სლოვაკი პეტერ ველიტცი, ავსტრალიელი ბრეტ ლანკასტერი და იტალიელი მარკო ველო დაუდგებიან.

ერიკ ცაბელი

ბოონენობას სხვები გასწევენ

მას შემდეგ, რაც ტომ ბოონენი დოპინგსკანდალში გაეხვა და „ტურდეფრანსს" მიღმა დარჩა, ბელგიური „ქვიკ სტეპის" შეფებმა ლიდერის ფუნქციები სხვა ბელგიელებზე, სტიინ დევოლდერსა და გერტ სტეეგმანსზე გადაანაწილეს.

სტეეგმანსი საკმაოდ კარგი ფინიშიორია და როგორც წესი, ბოლო მეტრებამდე აცილებდა ხოლმე ბოონენს, ახლა კი მთელი გუნდი სწორედ მასზე იმუშავებს და შეეცდება, სპრინტერული ეტაპებისას ხელსაყრელი პოზიცია შეუქმნას. სრპნტი არ იქნება და დევოლდერი შეეცდება პელოტონიდან გაქცევას, რაც მას საკმაოდ კარგად ეხერხება ხოლმე.

სტეეგმანსისა და დევოლდერის გარდა გუნდში კიდევ ოთხი ბელგიელია — სტივენ დე იონგი, სებასტიენ როსელერი, კევინ ვან იმპი და იურგენ ვან დე ვალე. „ქვიკ სტეპის" ბელგიურ ექვსეულს მხარში ესპანელი კარლოს ბარედო და იტალიელები — მატეო კარარა და მატეო ტოსატო ამოუდგებიან.

მადამ ლონგოს მეშვიდე თამაშები

49 წლის ფრანგი ქალბატონი ჟანი ლონგო საფრანგეთის ოლიმპიურ ნაკრებშია და პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა დროის საუკეთესო ველომრბოლი ქალი თავის მეშვიდე ოლიმპიურ თამაშებზე გამოვა.

ოლიმპიური საგზური ლონგოსთვის ძველი დამსახურებების გამო არ მიუციათ. მან ეს საფრანგეთის ჩემპიონატში წარმატებული გამოსვლით დაიმსახურა, როდესაც ჯგუფურ რბოლაშიც ყველას აჯობა და ინდივიდუალურშიც.

ჟანი ლონგო მსოფლიოს ცამეტგზის ჩემპიონი გახლავთ და ამას გარდა, მის კოლექციაში ოთხი ოლიმპიური მედალიც არის — ერთი ოქროსი, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოსი.



ბუნდესლიგა ევროთასებმა გადაწონა
მასპინძლობა სლოვენიაშიც სცოდნიათ



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ლიდერის **სერგო დათუაშვილის** „ლიუბეკ“ გერმანულ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ მთელი სეზონის მანძილზე წვალების შემდეგ ბოლოს მაინც ფსკერზე დაეშვა. მართალია, ბოლო ტურში პრინციპული მატჩი მოიგო, მაგრამ ბურთების უარესი მაჩვენებლის გამო მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. ამით კი გერმანული გუნდის და ქართველი ხელბურთელის კონტრაქტი ავტომატურად გაწყდა, რამაც სერგოს თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცა. ქართველს მსურველები ისედაც არ აკლდა და ამიტომ ახალი ნავსაყუდელი მალევე მოძებნა — სლოვენიურ „გორენიესთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სერგო მცირე ხანს ოჯახთან ერთად შვედეთში ისვენებდა, ახლა კი თბილისში დაბრუნდა და ჩვენც ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...

— რამდენიმე ვარიანტი მქონდა, გერმანული „ვეცლარი“ მიწვევდა, მაგრამ უარი ვთქვი, იმიტომ რომ აღარ მინდა მაჩანჩალა გუნდში თამაში. ჩემი დამატება შოთა თევზაძის ახალ გუნდს, რუმინულ „ბაკაუსაც“ უნდოდა და ისიც უარით გავისტუმრე. იყო რაღაც უნგრული გუნდიც, თუმც ყველაზე კარგი პირობები „გორენიემ“ შემომთავაზა. ხელფასი თითქმის იგივე მექნება, რაც გერმანიაში. გარდა ამისა, სლოვენიაში ცხოვრება გაცილებით იაფია.

— რაც მთავარია, საშუალება მოგეცემა, ევროთასებზე ითამაშო...

— რა თქმა უნდა. „გორენიე“ კარგი გუნდია, წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი დაძლია. შინაურ ჩემპიონატში კი მე-3 ადგილი დაიკავა და ახლა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე გამოვალთ, სადაც სლოვენიურმა „კოპერმა“ კარგად ითამაშა და გერმანული გუნდიც გამოაგდო. იმის თქმა მსურს, რომ ნორმალური დონის ჩემპიონატი აქვთ და 2-3 კარგი გუნდიც ჰყავთ. სულ კი ჩემპიონატში 12 გუნდი გამოდის.

— ხელმძღვანელობა როგორ დაგხვდა, კარგად მიგიღეს?

— ყველას გაუხარდა ჩემი ჩასვლა. დიდ ყურადღებას ვგრძნობდი. 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ახლა ცოტას დავისვენებ და 30 ივლისს სლოვენიაში უნდა ვიყო, გუნდი შეკრებაზე გადადის. სექტემბრის ბოლოს კი სლოვენიის ჩემპიონატიც დაიწყება.

ლექსო მაისურაძე

ფაბიანა მურერი

გადახტა და დატკბა

კოხტა ბრაზილიელი გოგონა ფაბიანა დე ალმეიდა მურერი სამხრეთ ამერიკის ყველა დროის საუკეთესო ჭოკით მხტომელია და უს. მან ბრაზილიურ ტროფეიში პირველად როდი დაამტკიცა. 27 წლის მურერმა ჭოკის დახმარებით 4,80 მეტრს გადაუფრინა და მოხსნა კონტინენტის ძველი რეკორდი, 4,66 მეტრი, რომელიც შარშანდელს აქეთ მასვე ეკუთვნოდა.

მურერმა ჯერ 4,40 მეტრით დაიწყო და ერთ ცდაში დაძლია საწყისი სიმაღლე. შემდეგ ასევე პირველ ჯერზე 4,50 აიღო. 4,60-ზე ერთხელ შეცდა, შემდეგ კი მესამე ცდაზე დაძლია 4,71 სიმაღლე და კონტინენტის ახალი რეკორდისთვის თანამემამულეთა მქუხარე ტაშიც მიიღო. ამასაც არ დასჯერდა და ასევე მესამე ცდაზე ეს რეკორდი 4,80 მეტრამდე გაზარდა.

სამხრეთ ამერიკის ახალგამომცხვარი რეკორდსმენი მერე იძახდა, არასდროს ისე არ დავმტკბარვარ ძირს ვარდნით, როგორც 4,80-ზე გადავლების მერეო. ბრაზილიელი ალბათ პეკინშიც მედლისთვის იბრძოლებს, ოღონდ არა ოქროსთვის, რომელიც პრაქტიკულად განაღდებული აქვს რუს ელენა ისინბაევას.

ვანო კოგბიაშვილი

ცრემლები წყალში
ანუ რით განსხვავდებიან რეკორდსმენი და ექსრეკორდსმენი

შეერთებული შტატების ჩემპიონატი თანდათან ემსგავსება სინქრონულ ცურვას. თითქოს პირი შეუკრავთო, ამერიკელი მოცურავეები ყოველ დღე ორ-ორ მსოფლიო რეკორდს ამყარებენ და ტურნირის მესამე დღესაც ზუსტად ორი რეკორდი ამოიღეს წყლიდან.

გულაღმა ცურვის ოსტატმა ქალმა ნატალი კულინმა ყვეყნის ჩემპიონის ტიტულის და პეკინის ოლიმპიადის საგზურის დევნაში ორ დღეში ორი რეკორდი მიითვალა. პრველი მან 30 ივნისს 100 მეტრზე გულაღმა ცურვის წინასწარ ეტაპზე დაამყარა, როცა ეს დისტანცია 59,03 წამში გაცურა და რამდენიმე წუთით ადრე პარალელურ საკვალიფიკაციო გაცურვაში ჰეილი მაკგრეგორის მიერ დამყარებულ რეკორდს 0.12 წამი მოაჭრა.

მეორე დღეს კი კულინმა ამავე დისტანციის ფინალში გაუმჯობესა თავისივე რეკორდი, როცა 58,97 დრო აჩვენა და გახდა მსოფლიოში პირველი ქალი, რომელმაც გულაღმა სტლით 100 მეტრს 59 წამზე ნაკლები მოანდომა.

ექსრეკორდსმენ მაკგრეგორის კი სასტიკად არ გაუმართლა. ფინალში ის, კულინს ვინ ჩივის და, მარგარეტ ჰოლცერსაც ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიადის მიღმა რჩება, რადგან პეკინის საგზური ყოველ დისციპლინაში მხლოდ ორ საუკეთესოს ერგება. აი, ამას ნიშნავს კონკურენცია — გოგონა ერთი დღის წინ მსოფლიო რეკორდსმენი იყო (მხოლოდ რამდენიმე წუთით), მეორე დღეს კი საერთოდ ვერ მოხვდა გუნდში. ამერიკის და შესაძლოა ავსტრალიის გარდა ნებისმიერი სხვა ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში მას დიდი პატივით მიიღებდნენ და მაკგრეგორი ალბათ ოლიმპიური მედლისთვისაც იბრძოლებდა, მაგრამ ამერიკაში ის ვარსკვლავი კი არა რიგითი სპორტსმენია, თანაც უიღბლო, რომელსაც სპორტული დრამა გადახდა თავს და თავის ცრემლებთან მარტო დარჩა.

ორგზის რეკორდსმენმა კულინმაც ეს გამარჯვება ექსრეკორდსმენ მაკგრეგორისთვის ასე მძიმედ მოსასმენი სიტყვებით გააფორმა — „შესანიშნავი შეგრძნებაა, როცა ყველაფერი მთავრდება და შენ თავს ოლიმპიურ გუნდში ხედავ. მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ როდესაც საქმე შეჯიბრზე მიდგება, ყველა ჩვენთაგანში იღვიძევს სხვისი ძლევის ცხოველური ინსტიქტი. ხალხს მიაჩნია, რომ რაკი ვინმე მსოფლიო რეკორდსმენია, მას გუნდში ადგილი გარანტირებული აქვს. რეალობა სხვაა. პეკინში წამსვლელებისთვის არის მხოლოდ ორი ადგილი. დანარჩენები სახლში რჩებიან.“

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავემ, სეულის (1988) და ბარსელონას (1992) ოლიმპიადების ოთხგზის ჩემპიონმა ჯანეტ ევანსმაც ცხელ გულზე მდულარე დაასხა მაკგრეგორის — მაგას პირველობა უნდოდა და ამის გამო საერთოდ ისე დარჩაო — „მაკგრეგორიმ საკვალიფიკაციო გაცურვაში ყველაფერი ჩადო და რეკორდი რომ დაამყარა, ეგონა ყველაფერი ამით დასრულდებოდა. დიახაც დასრულდა, მაგრამ სხვანაირად. საკვალიფიკაციოში ის 59,15 დროში გამოვიდა და ეგ შედეგი ფინალისთვის რომ „შემოენახა“, ერთ თვეში პეკინისთვის ჩაალაგებდა ჩემოდანს. ფინალში კი ის ემოციურად და ფიზიკურად გამოფიტული გავიდა და მხოლოდ 59,42, აჩვენა. ეს წარუმატებლობა მხოლოდ მისი ბრალია.“

ისე კი, მაკგრეგორის კიდევ ერთი შანსი რჩება აშშ-ს ოლიმპიურ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად. 100 მეტრზე მოცურავედ კი ითვლება, მაგრამ თუ გამძლეობა და ნებისყოფა აღმოაჩნდა და 200 გულაღმა მეტრზე იყოჩაღა, დანაკარგის კომპენსირებას ასე მაინც შეძლებს.

1 ივლისს ქალთა გულაღმა 100 მეტრის ემოციები ჯერ არ ჩამცხრალიყო, რომ მეორე რეკორდმაც დაიქუხა. ამ ჯერზე კაცთა შორის მოიხსნა 100 მეტრ ზურგზე ცურვაში ძველი რეკორდი. ამ დისციპლინაში ქალებში თუ კულინი ითვლება საუკეთესოდ, კაცთა შორის ამ მაღალ სტატუსს აგერ რამდენი წელია ატარებს აარონ პირსოლი და ოთხი წლის წინა ათენის ოლიმპიადაზე გულაღმა 100 მეტრიც მოუგია და 200-იც. ახლა პირსოლმა 100 მეტრზე 52,89 დრო დააფიქსირა და თავისივე მსოფლიო რეკორდს 0,09 წამი ჩამოაჭრა.

ჰეილი მაკგრეგორი წყალში ცრემლებად დაიღვარა

რეკორდს სულ ოდნავ ასცდა მაიკლ ფელპსიც. ათენიდან ექვსი ოქროს წამომღებმა პეკინში კი სულ ცოტა რვის დამგეგმავმა ამერიკელმა „ოქროს თევზმა“ ორი დღის წინ 400 მეტრ კომლექსურში გაანაბლა თავისივე რეკორდი, ახლა კი 200 თავისუფალი მეტრის ფინალი მოიგო წუთსა და 44,10 წამში, რაც ყველა დროის მესამე საუკეთესო დრო აღმოჩნდა. „ფელპიდო“ მერე იძახდა, ძალიან გამიჭირდა, რადგან ეს ყველაზე სწრაფი და რთული 200 მეტრის ფინალი იყო, რომელშიც კი მე ოდესმე მონაწილეობა მიმიღიაო.

ამ ამბიდან არ გასულიყო 40 წუთი, რომ ფელპსი კიდევ ერთხელ გადაეშვა აუზში და 200 მეტრი ბატერფლაის საკვალიფიკაციოში საუკეთესო დრო აჩვენა. ძალიან ბევრი შეუძლია ამ ბიჭს, ვისაც სამი დღის წინ 23 წელი შეუსრულდა და ბევრსაც ჩალიჩობს, ერთდროულად ორს კი არა ბარე ათ კურდღელს მისდევს, რათა საბოლოოდ 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე 7 ოქროს მომგებ თანამემამულე მარკ სპიცს გადაასწროს.

ვანო კოგბიაშვილი

რონალდინიო და ბავშვები

დიდად გაუმართლათ სამხრეთ კორეის ერთ-ერთი სკოლის ბავშვებს, მსოფლიოს ვარსკვლავ-რონალდინიომ რომ სტუმრობისთვის სწორედ მათი სკოლა ირჩია. ბრაზილიელი აზიურ ტურშია ჩაბმული და ამ სეულელ ბიჭებს საფეხბურთო გაკვეთილს უტარებს.

ფრთხილი მხედარი

დიდად ფრთხილობენ ბრიტანელი მაიკლ ვიტაკური და მისი ბედაური „ამაი“, რათა წარმატებით დაძლიონ აახენურ საცხენოსნო ბილიკებზე დაგებული მორიგი ბარიერი.

დადე, ქალო, ბურთი

ამერიკაში ასეა: როცა კაცები ისვენებენ, კალათბურთს ქალები თამაშობენ. ჰოდა, ქალურ ენბიეიში ახლა ძალიან ცხელა. მანდილოსნები თითოეული ბურთისთვის კბილებით იბრძვიან და აგერ, ნახეთ, როგორი ამბავი მოუწყვიათ დეტროიტელ შერილ ფორდსა და მის სანანტონიოელ მეტოქე ბეკი ჰემონს.

შენდება ვარშავული

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი პოლონეთს ჩასულა, რათა იქაურ ფეხბურთის მამებთან მომავალი ევროპის ჩემპიონატის ამბები შეათანხმოს. თუმცა ევროპის საფეხბურთო გამგებელი კადრში ვერ მოხვედრილა და ჩვენც იმ ექსკავატორის მზერით დავტკბეთ, ვარშავული სტადიონის მშენებლობისას რომ თხრის მიწას. მშენებლობა მაისში დაიწყო და 2012 წლისთვის ვარშავას კიდევ ერთი მშვენიერი სტადიონი ექნება, უკრაინასთან ერთად, ევროჩემპიონატს რომ უმასპინძლოს.



გაფრენილი და ჩასაფრებული

ბეისბოლშიც უყვართ ფრენა — განსაკუთრებით მაშინ, როცა ნახერხით გატენილ ბურთს კარგად ამოსცხებენ ხოლმე ხელკეტს. ჰოდა, ასე მარჯვედ მოუქნევია არიზონელ ოგი ოჯედას და სწორედ მისგან გამოფრენილი ბურთის მოხელთებას ცდილობს მილუოკელი ბილ ჰოლი, ხოლო მსაჯი ტიმ შიდა ჩასაფრებულია, რათა წესების დარღვევა არ გამოეპაროს.



მეყვანჯე ყარაჩიში

ყვანჯმარჯვობს ინდოელი გაუტამ გამბირი, რათა თავისიანებს მარადი საკრიკეტო მეტოქე პაკისტანი დაამარცხებინოს. მატჩი აზიის თასის ეგიდით ტარდება და მას ყარაჩის ეროვნული სტადიონი მასპინძლობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge